1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1965 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

132. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 სექტემბრის № 706 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

133. „ქალაქის ელექტროტრანსპორტზე უავარიო მუშაობისათვის“ სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

134. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ
135. საქალაქო ლომბარდის ტიპობრივი წესდების დამტკიცების შესახებ.
136. „იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაო საათების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 მარტის № 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
137. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
138. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

F-2990.

№/6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

139. ბუნების ძეგლებისა და ობიექტების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
140. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 690 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
141. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 691 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
142. საერთო საცხოვრებლების დათმობის წესისა და მათი სარგებლობის პირობების შესახებ.
143. იმ სახლებში ბინის ქირის ზღვრული განაკვეთების დაწესების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით.
144. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 633 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების მე-9 პუნქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
145. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საზოგადოებრივი არბიტრებისა და კონსულტანტების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

146. განკარგულება № 1614.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

132 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 სექტემბრის № 706 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 სექტემბრის № 706 დადგენილებისა „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა გატარების ხარჯების დაკრედიტების წესის შეცვლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა თანდართული ცვლილებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 დეკემბერი, № 724.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 დეკემბრის № 724
დადგენილებით

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 სექტემბრის № 706 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1657 დადგენილებაში „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“:

ა) 35-ე პუნქტის ქვეპუნქტი „გ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს საწარმოო მარაგის, დაუმთავრებელი წარმოების მარაგის და მზა პროდუქციის მარაგის შესაქმნელად, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც საჭიროა სახალხო მოხმარების იმ საქონლის დასამზადებლად, რომლის წარმოება ფართოვდება ან ეწყობა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხთა ხარჯზე,—კრედიტი ვადით არა უმეტეს 12 თვისა, ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების მონაწილეობის გარეშე";

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს 35-ე პუნქტის ქვეპუნქტები „ა", „ბ" და „დ".

2. „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების მე-19 პუნქტში სიტყვები:

„შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის № 2593 დადგენილებისა „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ" შეიცვალოს სიტყვებით:

„შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 75 და 1965 წლის 13 თებერვლის № 82 დადგენილებებისა".

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 19 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331 დადგენილებისა „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ";

ბ) პუნქტი 5 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 თებერვლის № 109 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ზომების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

133 „ქალაქის ელექტროტრანსპორტზე უავარიო მუშაობისათვის" სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ ტრამვაისა და ტროლეიბუსის საუკეთესო მძღოლთა წასახალისებლად დაწესდეს სამკერდე ნიშანი „ქალაქის ტრანსპორტზე უავარიო მუშაობისათვის".

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაამტკიცონ ნიშნის ნიმუში, აგრეთვე შეიმუშაონ და დაამტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცონ დებულება „ქალაქის ელექტროტრანსპორტზე უავარიო მუშაობისათვის სამკერდე ნიშნის შესახებ.

საქართველოს სსრ	საქართველოს
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	პროფსაბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.	**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 24 დეკემბერი, № 743.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

134 ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

(ამონაკრები)

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაუქმდეს იქ, სადაც ამას ადგილი ჰქონდა, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რისთვისაც:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების მე-10 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დაერთოს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოყოს მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ქალაქის მთაგორიან ნაწილში (ბუაჩიძის, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის და ლესელიძის ქუჩების ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია) და საავტომობილო ქარხნის რაიონში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილ ზონაში ისე, რომ დაცულ იქნას ქალაქმშენებლობის ნორმები;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 მარტის № 167 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, ქალაქ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრაში, გუდაუთაში, ქობულეთში და ქალაქის ტიპის დაბა ბაკურიანსა და ახალ ათონში ნება დაერთოს მოქალაქეებს, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ, აწარმოონ იმ სახლებზე დაშენება, რომლებიც მათ პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მესაკუთრის ოჯახის ერთად მცხოვრები წევრების მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა მენაშენეების მონაწილეობის გარეშე. ამასთან დაიცვან ქალაქმშენებლობის ნორმები და წესები და საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 104 მუხლის მოთხოვნები;

გ) ნებადართულ იქნას რესპუბლიკის ყველა ქალაქში (გარდა ქ. თბილისისა), რომლებშიაც აკრძალულია მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, იმ სახლების გაფართოებისა და რეკონსტრუ-

ქციის სამშენებლო სამუშაოების წარმოება, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთ-
ვნით პირადი საკუთრების უფლებით, იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლ-
მდებარეობს ისეთ ზონაში, სადაც არ ჩატარდება რეკონსტრუქცია პირველ რი-
გში, ესე იგი უახლოესი 10 წლის განმავლობაში, და მხოლოდ მესაკუთრის
ოჯახის ერთად მცხოვრებ წევრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სხვ-
მენაშენეების მონაწილეობის გარეშე, ქალაქმშენებლობის წესებისა და საცხოვ-
რებელი ფართობის იმ ნორმების დაცვით, რაც გათვალისწინებულია საქარ-
თველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 104 მუხლით.

ქ. თბილისში ნებადართულ იქნას იმ საცხოვრებელი სახლების რეკონს-
ტრუქციის სამუშაოები, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრე-
ბის უფლებით (დამხმარე ფართობების: სამზარეულოს, ვერანდის, აივნების,
საკვანძების მოწყობა და ა. შ.), საცხოვრებელი ფართობის გაუდიდებლად იმ
ანგარიშით, რომ აუცილებლად იქნას დაცული არქიტექტურული, სანიტარული
და სახანძრო მოთხოვნები;

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ კომუნალუ-
რი მეურნეობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან, საქართველოს
პროფსაბჭოსთან, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-
ჭოებთან, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაიო-
ნული საბჭოების და ქალაქ ფოთის აღმასკომებთან ერთად, 1966 წლის პირ-
ველი კვარტალის დამლევამდე დააწესოს საქართველოს სსრ შავი ზღვის სანა-
პიროს საკურორტო ზონები. ამ ზონების ტერიტორიაზე აკრძალოს მიწის ნაკ-
ვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს არასაკურორტო ზონებში მშრო-
მელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების ნებარ-
თვით გამოეყოთ მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა-
თვის იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ მოცემულ
დასახლებულ პუნქტებში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის
საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ მიიღოს ზომები,
რათა გაფართოვდეს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ქსელი საცხოვ-
რებელი სახლების რემონტისა და მშენებლობისათვის მოსახლეობის სახსრე-
ბით იმ ანგარიშით, რომ მთელი ეს სამუშაოები უახლოეს წლებში შესრულდეს
ძირითადად ამ ორგანიზაციების ძალებით.

4. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები უნდა
გამოიყოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების
გადაწყვეტილებებით იმ დღიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადისა, რაც მენაშე-
ნემ განცხადება შეიტანა. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა ქალაქებსა და
მუშათა დაბებში უნდა ხორციელდებოდეს, როგორც წესი, თავისუფალ ტერი-
ტორიებზე, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ ხარჯებს ათვისებისა და საინჟინ-
ერო მომზადებისათვის, არ იქნას დაშვებული ისეთი ტერიტორიების განაშენია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო და კოოპერაციული საბინაო და სამრეწველო მშენებლობისათვის.

5. დაწესდეს, რომ გზების, საინჟინერო კომუნიკაციებისა და ელექტრომომარაგების ხაზების, აგრეთვე ვაჭრობის საწარმოებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მშენებლობა რაიონების და ინდივიდუალურ მენაშენეთა დაბების ტერიტორიაზე უნდა განახორციელონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებშიაც ინდივიდუალური მენაშენეები მუშაობენ, სახელმწიფო გეგმის კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე და დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმებით ამ მიზნებისათვის საჭირო სახსრები, აგრეთვე, 1966 წლიდან დაწყებული, საშენი მასალების წარმოების გეგმებით — შიფერის, რბილი სახურავის და ხეტყის მასალის გამოშვების გადიდება, აგრეთვე საბაზრო ფონდების გადიდება იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოთხოვნილებანი.

6. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის და მშენებლობის სამინისტროებმა მიიღონ ზომები, რათა გადიდდეს იაფი ადგილობრივი საშენი მასალების — აგურის, კირის, ბუნებრივი ქვის მცირე საკედლე ბლოკების, კრამიტისა და სხვ. წარმოება იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოთხოვნილებას აღნიშნულ მასალებზე.

7. საშენი მასალების შეძენა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მოხდეს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 ივლისის № 504 დადგენილებით.

8. საქართველოს სსრ სახმშენმა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) აღმასკომების მონაწილეობით:

— შეარჩიოს 1966 წლის 1 იანვრამდე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები ამჟამად მოქმედი რიცხვიდან და ურჩიოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გამოიყენონ ისინი ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში;

შეიმუშაოს 1965—1966 წლებში ეკონომიური და მოხერხებული საცხოვრებელი სახლების ისეთი ახალი ტიპობრივი პროექტები რესპუბლიკის სხვადასხვა კლიმატური პირობებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი იაფი საშენი მასალების გამოსაყენებლად, აგრეთვე შეიმუშაოს რეკომენდაციები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების განლაგებისა, დაგეგმვისა, განაშენიანებისა და კეთილმოწყობისათვის.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გააძლიერონ კონტროლი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ნარისხისა და ინდივიდუალური განაშენიანების რაიონებისა და დაბების კეთილმოწყობისადმი;

ბ) სახელმწიფო საბინაო მშენებლობის განაწილების საკითხების გადაწყვეტის დროს არ დაუშვან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღება ისე, თუ არ იქნა დასაბუთებული ამ აღების ეკონომიური მიზანშეწონილობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 5 ნოემბერი, № 636.

135 საქალაქო ლომბარდის ტიპობრივი წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:
დამტკიცდეს საქალაქო ლომბარდის ტიპობრივი წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 5 ნოემბერი, № 638.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 5 ნოემბრის № 638
დადგენილებით

საქალაქო ლომბარდის ტიპობრივი წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს მოსახლეობას ისარგებლოს სესხით საოჯახო ნივთებისა და პირადი სარგებლობის საგნების გირავნობის საფუძველზე, აგრეთვე შეინახოს ეს ნივთები, ——————————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი აარსებს საქალაქო ლომბარდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ——————————— საქალაქო ლომბარდი წარმოადგენს

სახელმწიფო საწარმოს, ემორჩილება ——————————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე.

შესანახად მიღებული და დაგირავებული ქონებისათვის, აგრეთვე თავისი სხვა ვალდებულებებისათვის ლომბარდს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა ნივთების შეფასების სრული თანხის ოდენობით.

ლომბარდი ვალდებულია შესანახად მიღებული ან დაგირავებული ნივთები დააზღვევოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებში შეფასების სრული თანხის ოდენობით.

3. ——————————— საქალაქო ლომბარდს იმ დღიდან, რაც მისი წესდება დაამტკიცა ——————————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ენიჭება იურიდიული პირის უფლებები.

ქალაქის ლომბარდის საწესდებო ფონდი განისაზღვრება ——————————— მანეთით.

4. ——————————— საქალაქო ლომბარდს უფლება ენიჭება, ——————————— საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცების შემდეგ გახსნას თავისი ფილიალები ქალაქში.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება ნივთების შესანახად მიღების საქმეში, ლომბარდი აწყობს მიმღებ პუნქტებს და შინ მომსახურების ბიუროებს, ამასთან აწესებს ბიუროს მომსახურებისათვის საზღაურს, ——————————— საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული განაკვეთების თანახმად.

5. ——————————— საქალაქო ლომბარდს უფლება აქვს მოქმედი კანონების საფუძველზე შეიძინოს და იჯარით აიღოს ნაგებობანი, აგრეთვე მიიღოს უვადო სარგებლობის უფლებებით მიწის ნაკვეთები ლომბარდისათვის საჭირო სადგომების ასაშენებლად.

6. ——————————— საქალაქო ლომბარდს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკის კრედიტით. კრედიტის ოდენობა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკის საკრედიტო გეგმებით.

7. ლომბარდისათვის შესანახად ან გირაოდ ჩაბარებული ქონება არ შეიძლება ამოღებულ იქნას მფლობელის თანხმობის გარეშე, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან განაჩენით, რომელიც შესულია ძალაში. ამასთან ქონების მიმღებმა უნდა შეიტანოს ლომბარდში საზღაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონების შენახვისა და დაზღვევისათვის, აგრეთვე უნდა დააბრუნოს გაცემული სესხი პროცენტებით.

8. ———————— საქალაქო ლომბარდს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია თავისი სახელწოდება.

II. ლომბარდის ოპერაცია

9. ———————— საქალაქო ლომბარდი აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

ა) მიიღებს შესანახად მოქალაქეებისაგან საოჯახო ნივთებს და პირადი სარგებლობის საგნებს;

ბ) მისცემს მოქალაქეებს სესხს საოჯახო ნივთების და პირადი სარგებლობის საგნების გირავნობით.

ლომბარდის მიერ სესხის გაცემა უცხოური ვალუტის და ფასიანი ქაღალდების გირავნობით არ დაიშვება.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფლება აქვს დააწესოს იმ საგნების ნუსხა, რომლებიც ლომბარდმა არ უნდა მიიღოს შესანახად და გირავნობის წესით.

10. ლომბარდი გასცემს სესხს სამ თვემდე ვადით, ამასთან ამ ვადის გასვლის შემდეგ მისცემს კიდევ ერთ შეღავათიან თვეს დაგირავებული ქონების გამოსასყიდად.

საოჯახო ნივთებს და პირადი სარგებლობის საგნებს ლომბარდი მიიღებს შესანახად 6 თვემდე ვადით.

11. იმ თანხის ოდენობა, რასაც ლომბარდი გასცემს გირავნობის წესით, არ უნდა აღემატებოდეს დასაგირავებელი ნივთების 70 პროცენტს.

ძვირფასი ლითონების და მათგან დამზადებული ნაკეთობების დაგირავებისათვის შეიძლება გაიცეს სესხი 90 პროცენტის ფარგლებში.

გირავნობის ერთი ბილეთით გასაცემი თანხის ზღვრული ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს სხვადასხვა ნივთებისათვის 50 მანეთს, ხოლო ძვირფასი ლითონებისა და მათგან დამზადებული ნაკეთობებისათვის — 100 მანეთს.

12. საოჯახო ნივთებს და პირადი სარგებლობის საგნებს, რომლებიც ლომბარდს ბარდება შესანახად ან გირაოდ სესხის მისაღებად, ლომბარდი შეაფასებს ნამდვილი ღირებულების მიხედვით, ნივთების წარმდგენის თანხმობით. ძვირფასი ლითონები შეფასდება დაწესებული სახელმწიფო ფასდების მიხედვით.

13. ნივთების შესანახად მიღების დროს ლომბარდი გასცემს სახელობითს შენახვის ქვითრებს, ხოლო სესხის გაცემის დროს — გირავნობის სახელობითს ბილეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომბარდის მიერ გასაცემი შენახვის ქვითრებისა და გირავნობის ბილეთების ფორმას დააწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

14. ქონების შენახვის საზღაურს, აგრეთვე სესხის პროცენტებს ლომბარდი გადაახდევინებს სესხის დაფარვის ან ქონების წაღების დროს, ლომბარდში მისი ყოფნის მთელი ვადისათვის. ანგარიშწარმოება ხდება მთელი ნახევარი თვისათვის.

ლომბარდი გადაახდევინებს საზღაურს ქონების შენახვისათვის ნივთების შეფასების თანხის 6 პროცენტის ოდენობით წლიურად და სესხის სარგებლობისათვის — გაცემული სესხის თანხის 10 პროცენტის ოდენობით წლიურად.

ამ საზღაურში შედის ნივთების დაზღვევის ღირებულება.

15. უკეთუ ლომბარდისაგან მიღებული სესხი არ იქნა დაფარული შეპირობებულ ვადაში (პ. 10), ამ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული საოჯახო ნივთები და პირადი სარგებლობის საგნების რეალიზაციას შეღავათიანი თვის გასვლის შემდეგ მოახდენს ლომბარდი სახელმწიფო ან კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიყიდვის გზით.

დაგირავებულ ნივთებს ლომბარდი გაყიდის მიღებული შეფასების თანხის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როდესაც დაგირავებული ნივთის ნამდვილი ფასი აღმოჩნდება შეფასების ფასზე მეტი ან ნაკლები, ლომბარდი ამ ნივთს გაყიდის შემსყიდველ ორგანიზაციათა არსებულ ფასად.

ძვირფასი ლითონებისაგან, ქვებისაგან, მარგალიტისაგან და სხვ. დამზადებული ნაკეთობების რეალიზაციას, შეღავათიანი თვის გასვლის შემდეგ, ლომბარდი მოახდენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

იმ ზარალისათვის, რაც ლომბარდს მოუვიდა ნივთის არასწორად მიღების შედეგად, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება შემფასებელს, რომელმაც მიიღო ნივთი გირაოდ ან შესანახად.

16. დაგირავებული ნივთების გაყიდვისაგან შემოსული თანხიდან დაიფარება: შენახვისა და დაზღვევის საზღაური, გაცემული სესხი პროცენტებით და გაყიდვის ხარჯები. ნაშთი დაუბრუნდება გირავნობის ბილეთის ან შენახვის ქვითრის მფლობელს მისი წარდგენის შემდეგ.

თანხის ნაშთები, რაც არ ყოფილა მოთხოვნილი დაგირავებული ქონების გაყიდვის დღიდან 3-4 წლის განმავლობაში, შეტანილ უნდა იქნას საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა.

17. იმ შემთხვევაში, თუ შესანახად მიღებული ნივთები არ ყოფილა მოთხოვნილი დანიშნულ ვადაში და შენახვის ვადა არ იქნა განახლებული, ლომბარდი მოვალეა შეინახოს ეს ნივთები დამატებით 3 თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოუთხოვნელი ნივთები გაიყიდება იმავე საფუძვლებზე, როგორც დაგირავებული ნივთები სესხის ვადაგადაცილების დროს (პუნქტები 15 და 16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. შენახვის ქვითრებით ან გირავნობის ბილეთებით ლომბარდიდან ნივთების მიღების უფლების გადაცემა სხვა პირებისათვის შეიძლება მხოლოდ ნივთების მფლობელის მინდობილობით, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნას სანოტარო კანტორის ან სოფლსაბჭოს მიერ, ბილეთის ან ქვითრის ნომრის აღნიშვნით.

19. შესანახად ჩაბარებული ან დაგირავებული ნივთების დაკარგვის შემთხვევაში ლომბარდი აუნაზღაურებს მფლობელს მათს ღირებულებას იმ შეფასების მიხედვით, რაც აღნიშნულია შენახვის ქვითარში ან გირავნობის ბილეთში.

შესანახად ჩაბარებული ან დაგირავებული ნივთების ლომბარდის მიზეზით დაზიანებისათვის ეს უკანასკნელი აუნაზღაურებს მათს მფლობელს მიყენებულ ქონებრივ ზარალს ქონების იმ შეფასების ფარგლებში, რაც აღნიშნულია გირავნობის ბილეთში ან შენახვის ქვითარში, ანდა ნივთის მფლობელის მოთხოვნით აუნაზღაურებს მას სრულ ღირებულებას, მიღებული შეფასების თანახმად, რის შემდეგ დაზიანებული ნივთი გადადის ლომბარდის საკუთრებად.

20. ლომბარდში შესანახად ჩაბარებული ან დაგირავებული ნივთების შენახვის ქვითრის ან გირავნობის ბილეთის დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატი გაიცემა მფლობელის წერილობითი განცხადების საფუძველზე მას შემდეგ, რაც ლომბარდს წარედგინება მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთი. დაკარგული ქვითრისათვის ლომბარდი გადაახდევინებს მას ჯარიმას 50 კაპიკის ოდენობით.

III. საქალაქო ლომბარდის მმართველობა

21. ———————— საქალაქო ლომბარდის გამგეს დანიშნავს ———————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

გამგის მოადგილეს და მთავარ ბუღალტერს დაამტკიცებს გამგის წარდგენით ———————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ლომბარდის გამგე, ამ წესდების საფუძველზე, განსაკუთრებული საამისო მინდობილობის გარეშე, გამოდის ლომბარდის წარმომადგენლად ყველა დაწესებულებაში და სასამართლოში, აწარმოებს ლომბარდის მუშაკთა მიღებას და დათხოვნას, გასცემს მინდობილობებს ლომბარდის საქმეებისა და საშუალებათა გამო და განახორციელებს ამ წესდებიდან გამომდინარე ყველა უფლებამოვალეობას.

ლომბარდის საფინანსო და სამეურნეო გეგმებს დაამტკიცებს ———————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ფულად დოკუმენტებს ხელს უნდა აწერდეს ლომბარდის გამგე ან მისი მოადგილე და მთავარი ბუღალტერი.

გარიგებებს, ხელშეკრულებებს, აქტებს და სხვა დოკუმენტებს ხელს მოაწერს ლომბარდის გამგე ან მისი მოადგილე.

IV. ანგარიშგება

23. ლომბარდის საოპერაციო წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

24. საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს შეადგენს და შესაბამის ინსტანციებს წარუდგენს ლომბარდი, თანახმად მოქმედი დებულებისა სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ.

ლომბარდის წლიურ ანგარიშებს განიხილავს და დაამტკიცებს ——————— ——————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.

25. ლომბარდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიები იწარმოებს დადგენილი წესით.

V. ლიკვიდაცია

26. ——————— საქალაქო ლომბარდის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ——————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

ლომბარდის ლიკვიდაციის დროს ——————— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი მოვალეა დაადგინოს ლიკვიდაციის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფდა ლომბარდის მიერ მიღებული ქონების დაბრუნებას შენახვის ქვითრებსა და გირავნობის ბილეთებში აღნიშნულ ვადებში იმ შეღავათიანი თვის დამატებით, რაც დაწესებულია ამ წესდებით როგორც სესხის და ლომბარდის სხვა გადასახდელების დასაფარავად, ისე გაყიდვისაგან შემოსული თანხების მისაღებადაც.

ქონების გაყიდვისაგან შემოსული თანხები გადაეცემა ამ შემთხვევებში შესანახად სანოტარო კანტორის დეპოზიტში დამგირავებლის ან იმ პირის სახელზე, რომელმაც ჩააბარა ქონება შესანახად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

136 „იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაო საათების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 მარტის № 704 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წინადადება და „იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში სამუშაო საათების შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 მარტის № 104 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას მმაჩის ორგანოები. დაწესდეს, რომ რაიონული და საქალაქო მმაჩის ბიუროები:

ქ. თბილისში მუშაობას იწყებენ 9 საათსა და 30 წუთზე და ამთავრებენ 17 საათსა და 30 წუთზე, ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში მუშაობას იწყებენ 9 საათზე და ამთავრებენ 17 საათზე (შუალედში ერთსაათიანი შესვენებით). დასვენების დღედ ყველა მმაჩის ბიუროსათვის დაწესდეს კვირა დღე.

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ყველა რაიონულ და საქალაქო საბჭოს აღმასკომს მისცენ შესაბამისი მითითება მათდამი დაქვემდებარებულ მმაჩის ბიუროებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 5 ნოემბერი, № 639.

137 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის იმ წესების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 დეკემბრის № 732 დადგენილებით, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა) ერთჯერადი საგარანტიო რემონტის შემდეგ და თუ შეუძლებელია შემდეგში ნაკეთობებში არსებული უწესივრობის გასწორება მყიდველის ბინაში, უწესივრო ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, მაგნიტოლებს, რადიოკომბაინებს და სხვა რადიოაპარატებს გამოცვლის ახალზე ის მაღაზია, რომელშიაც ნაკეთობა ნაყიდია, ან უკანვე დაიბრუნებს და მყიდველს მისცემს ამ საგანში გადახდილ თანხას, თუ მაღაზია ვერ დაამტკიცებს, რომ უწესივრობა გამოწვეულია მყიდველის მიერ ნივთის სარგებლობის ან მისი შენახვის წესების დარღვევით.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 3 დეკემბერი, № 691.

138 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, დაიშვება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, — შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„61. ამიერკავკასიის რკინიგზის და სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოების საცხოვრებელი სახლები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 3 დეკემბერი, № 692.

ეროვნული ბიბლიოთეკა

139 ბუნების ძეგლებისა და ობიექტების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ IV მოწვევის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე (1958 წლის 28 ნოემბერი) მიღებული ბუნების დაცვის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს რესპუბლიკის ბუნების ძეგლებისა და ობიექტების სახელმწიფო დაცვა (ტყის ძვირფასი ხევნარები, კორომები, ხეივნები, პარკები, დიდხნოვანი ხეები, ფლორისა და ფაუნის ცალკეული სახეობანი, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ღირსშესანიშნაობანი და სხვა) თანახმად №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 დანართისა.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ-ში ბუნების ძეგლებისა და ობიექტების სახელმწიფო დაცვის შესახებ.

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნას შესწორება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილების № 3 დანართის მე-20 პუნქტში და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილ გასანადგურებელ მტაცებელ ცხოველთა სიიდან ამოირიცხოს აფთარი და ჯიქი.

4. დაევალოს სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს:

ა) 1965 წლის ბოლომდე ნატურაში გამოყონ, გამიჯნონ და შესაბამის ორგანიზაციებზე გააპიროვნონ ყველა ობიექტი, რომლებზედაც ვრცელდება სახელმწიფო დაცვა;

ბ) ბუნების ძეგლების დაცვისათვის მიზნობრივად და სრულად გამოიყენონ ამ ობიექტების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული თანხები;

გ) საქართველოს „ბუნების მეგობრის“ ნებაყოფლობითი საზოგადოების პრეზიდიუმთან წინასწარ შეთანხმებით, ამ საზოგადოების ხარჯზე 1966 წლის პირველ ნახევარში გაუკეთონ ყველა ზემოაღნიშნულ ობიექტს წარწერები დადგენილი ფორმის მიხედვით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გამომცემლობა „მეცნიერების“ მეშვეობით გამოსცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის მიერ მომზადებული კრებული „საქართველოს სსრ ბუნების ძეგლები და ობიექტები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკურ კომისიას 1966 წლის პირველი ნახევრის ბოლომდე მოახსენოს მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 3 დეკემბერი, № 717.

F-2990

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ-ში ბუნების ძეგლებისა და ობიექტების სახელმწიფო დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ ცოცხალი და მკვდარი ბუნების ცალკეული ძეგლებისა და ობიექტების სახელმწიფო დაცვის ამოცანას შეადგენს ფლორისა და ფაუნის იშვიათ სახეობათა და მკვდარი ბუნების განსაკუთრებით ძვირფასი ძეგლების დაცვა, რომელთაც მეცნიერულ-შემეცნებითი, კულტურულ-ისტორიული და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვთ.

I

ზემოაღნიშნული ამოცანის შესაბამისად აკრძალულია:

ა) ტყის ძვირფას ხევნარებსა, კორომებსა, პარკებსა და ხეივნებში ხეებისა და ბუჩქების მოჭრა და დაზიანება, საქონლის ძოვება, ბალახეული საფარის დაზიანება, მიწის მოხვნა, ყოველგვარი სახის ნაგებობის აგება, სამიმოსვლო გზების გაყვანა და სხვა სამუშაოები, დიდხნოვანი და იშვიათი ხეების ქვეშ ავტომანქანების და სხვა სახის ტრანსპორტის დაყენება, კარავის ან პირუტყვის სადგომის მოწყობა, აგრეთვე პარკებისა და ხეივნების ყოველგვარი რეკონსტრუქცია სათანადო ნებართვის გარეშე;

ბ) ძვირფას და იშვიათ სახეობათა იმ ცხოველებისა და ფრინველების დაჭერა და დახოცვა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან;

გ) ქვის, ხრეშის, თიხის და სხვა წიაღისეულის მოპოვება ბუნების გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ძეგლების განლაგების ადგილებში.

დ) ბუნების ძეგლების დანგრევა, დაზიანება, ყოველგვარი წარწერების გაკეთება, დანაგვიანება-გაბინძურება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

II

სახელმწიფო დასაცავ ობიექტების ბუნებრივი სახის შენარჩუნების მიზნით ყველა უწყება, ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობა, სატყეო მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა ორგანიზაციები, ვის გამგებლობაშიც იმყოფება დასაცავი ობიექტები, ვალდებულნი არიან დაიცვან სანაკრძალო ობიექტები.

III

სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ძეგლებისა და ობიექტების განზრახ განადგურების, დანგრევის ან დაზიანებისათვის, აგრეთვე ნადირ-ფრინველის დახოცვისათვის, დამნაშავენი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 და 254 მუხლების საფუძველზე დანაშაულის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

ხელოვნური პარკებისა და ხეივნებისა, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას

ობიექტების დასახელება და მოკლე დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
1. წინანდლის პარკი — დეკორატიულ პარკმშენებლობის საუკეთესო ნიმუშია, ერთადერთი აღმოსავლეთ საქართველოში, ამავე დროს მდიდარია უცხო და ადგილობრივი დეკორატიული ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით	წინანდლის საბჭოთა მეურნეობის	წინანდლის საბჭოთა მეურნეობას	თელავის რაიონი, სოფ. წინანდალი
2. ზუგდიდის პარკი — პარკმშენებლობის საუკეთესო ნიმუშია, მდიდარია სხვადასხვა სახის უცხო, აკლიმატიზებული ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით	ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის	ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომს	ქ. ზუგდიდი
3. გორდის პარკი — მდიდარია უცხო აკლიმატიზებული ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით	განათლების სამინისტროს გორდის სკოლა-ინტერნატის დირექციის	წულუკიძის რაისაბჭოს აღმასკომს	წულუკიძის რაიონი, სოფ. გორდი
4. გორაბერეჟოულის პარკი — მდიდარია უცხო, აკლიმატიზებული ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით	ჩოხატაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექციას	ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომს	ჩოხატაურის რაიონი, სოფ. გორაბერეჟოული
5. კოჯრის პარკი — ძვირფასია უცხო, აკლიმატიზებული ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით	ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოჯრის დასასვენებელი სახლის დირექციის	გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომს	გარდაბნის რაიონი, კოჯორი
6. ჭომის პარკი — ღირსშესანიშნავია დიდხნოვანი ძელქვით და უცხო ჯიშებით: გინკგო, სექვოია და სხვა	ქ. ქუთაისის საქალაქო აღმასკომის	ქ. ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს	ქ. ქუთაისი
7. ნ. ნიკოლაძისეული ჭადრების ხეივანი მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ქ. ფოთში	ქ. ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის	ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს	ქ. ფოთი
8. ჭაობის კვიპაროსის ხეივანი ქ. ფოთში	ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის დირექციის	ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის დირექციას	ქ. ფოთი
9. ევკალიპტის ტყვრი ფოთის აღმოსავლეთ გარეუბანში	კოლხიდის სატყეო მეურნეობის	ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს	კოლხიდის სატყეო მეურნ-ბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და მოკლე დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
10. დიდხნოვანი კვიპაროსის ხეივანი სოფ. ჩხარში	ჩხარის სასოფლო საბჭოს	თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომს	თერჯოლის რაიონი, სოფ. ჩხარი
11. დიდხნოვანი კვიპაროსის ხეივანი ზედა საზანოს საშუალო სკოლის ეზოში	განათლების სამინისტროს სოფ. ზედა საზანოს საშუალო სკოლის დირექციის	განათლების სამინისტროს სოფ. ზედა საზანოს საშუალო სკოლის დირექციას	ზესტაფონის რაიონი, სოფ. ზედა საზანო
12. ურთხმელის კორომი ს. მექვენის ყოფ. ეკლესიის მიდამოებში	მექვენის სოფლის საბჭოს	წყალტუბოს რაისაბჭოს აღმასკომს	წყალტუბოს რაიონი, სოფ. მექვენა
13. ურთხმელის კორომი სოფ. სკანდეში წმინდა გიორგის ყოფ. ეკლესიასთან	სოფ. სკანდეს ყოფ. ეკლესიის	ზესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომს	ზესტაფონის რაიონი, სოფ. სკანდე
14. საუკუნოვანი უთხოვარის ხეები ყულიის ყოფ. ეკლესიის ეზოში	ს. ორჯონიკიძის ყულიის ყოფ. ეკლესიის	ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომს	ზუგდიდის რაიონი, სოფ. ორჯონიკიძე
15. კორპის მუხის ნარგავები ლაგოდეხში, როგორც აკლიმატიზაციის ნიმუში	ლაგოდეხის სატყეო მეურნეობის	ლაგოდეხის სატყეო მეურნეობას	ქ. ლაგოდეხი
16. ცაცხვის დიდხნოვანი ხეების ნარგაობა ქ. ლაგოდეხში	ლაგოდეხის რაისაბჭოს	ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომს	ქ. ლაგოდეხი
17. უცხო, აკლიმატიზებული ჯიშების: მაგნოლიების, კამელიების, ბრაზილიური არაუკარიას, კედრების, ქაფურის ხის, კვიპაროსების, ჭადარის, კრიპტომერიის, ლირიოდენდრონის და სხვათა ნარგაობა ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე	ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის	ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის დირექციას	ბათუმის რაიონი, ციხისძირი
18. უცხო, აკლიმატიზებული ჯიშები იაპონური წაბლი, კორპის მუხა, დარიჩინის ხე, კედრები, კამელიები, არაუკარია, ქაფურის ხე, კრიპტომერიები და სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის საკვლევი ინსტიტუტის ფილიალის ტერიტორიაზე	ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის	ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექციას	ქობულეთის რაიონი, ჩაქვი
19. აკლიმატიზებული, უცხო მერქნიანი ჯიშების: იაპონური კამელიის, მაგნოლიის, ლიროდენდრონის, კედრების, კრიპტომერიებისა, აგრეთვე ჰარტვისის მუხის ნარგავები მწვანე კონცხის ტერიტორიაზე	ბათუმის სას. სამეურნეო ტექნიკუმის	ამავე ტექნიკუმის დირექციას	ბათუმის რაიონი, მწვანე კონცხი
20. ბრაზილიური არაუკარია (ნაყოფმსხმოიარე) და კამელიის სხვადასხვა სახეობა საქ. სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს მე-4-ე სამმართველოს მწვანე კონცხის სანატორიუმის ტერიტორიაზე	საქ. სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს მე-4-ე სამმართველოს სანატორიუმის დირექციის	ამავე სანატორიუმის დირექციას	ბათუმის რაიონი, მწვანე კონცხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და მოკლე დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
21. მწვანე კონცხი — ტურბაზის ტერიტორიაზე დეკორატიული პარკი ფართობით 1 ჰექტ. ჰადრების ხეივანი, ლირიოდენდრონის დიდხნოვანი ეგზემპლარები, უინვაგამძლე მანანის ევკალიპტი, დაფნის-ფოთოლა კოკულუსი, რომლის ყველაზე დიდხნოვანი ეგზემპლარია აჭარაში	მწვანე კონცხის დირექციის	მწვანე კონცხის ტურბაზის დირექციას	ბათუმის რაიონი, მწვანე კონცხი
22. უცხო, აკლიმატიზებული ჯიშების დიდხნოვანი ეგზემპლარები: ქაფურის ხე, სურნელოვანი ოსმანტუსი, მაგნოლიები, ხამეცი პარისი, ცრუცუგა, კვიპარისები საერთო ფართობით 3 ჰექტ. მახინჯაურში დასასვენებელი სახლების ტერიტორიაზე	მახინჯაურის დასასვენებელი სახლის დირექციის	მახინჯაურის დასასვენებელი სახლის დირექციას	ბათუმის რაიონი, დაბა მახინჯაური
23. იტალიური ფიჭვის ნარგავები, ვეიმუტის ფიჭვის კორომი, ცუგის მსხვილი ეგზემპლარები ფართობით 1 ჰექტ. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანატორიუმის ტერიტორიაზე	საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანატორიუმის დირექციის	საქ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანატორიუმის დირექციას	»
24. წიწვიანი ეკზოტების დიდხნოვანი ნარგავები: კვიპაროსები, კედრები, აგრეთვე აღმოსავლეთის ნაძვი ფართობით I ჰექტ. ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე	მახინჯაურის ბავშვთა სახლის დირექციის	მახინჯაურის ბავშვთა სახლის დირექციას	»
25. სალიბაურის დასასვენებელი სახლის ნაკვეთი 0,6 ჰექტ., სადაც იზრდება არაუკარია, ცინამომუმი, სხვადასხვა სახეობის ფიჭვები, დაფნიფილუმი, კოკულუსი, კედრები და სხვა	სალიბაურის დასასვენებელი სახლის დირექციის	სალიბაურის დასასვენებელი სახლის დირექციას	ს. სალიბაური
26. ევკალიპტის ნარგავები გონიოს კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე და ახალსოფლის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე	გონიოს საბჭოთა მეურნეობის დირექციის, ს. გონიოს და ახალი სოფლის კოლმეურნეობის გამგეობების	გონიოს საბჭოთა მეურნეობის დირექციას, გონიოს და ახალსოფლის კოლმეურნ. გამგეობებს	ბათუმის რაიონი, სოფელი გონიო
27. ანგისიდან ხელვაჩაურის ბოლომდე გაშენებული ევკალიპტების ნარგავები	ანგისის და ხელვაჩაურის სასოფლო საბჭოების	ანგისის და ხელვაჩაურის ს/საბჭოებს, ბათუმის რაიაღმასკომს	სოფ. ანგისისა და ხელვაჩაურის ტერიტორიაზე
28. სოფ. გლდანში ფიჭვების, კვიპროსების, ატლასის და ჰიმალაის კედრების, ტუიასა და სხვათა ნარგაობა	სოფ. გლდანის სასოფლო საბჭოს	გარდაბნის რაისაბჭოს	სოფ. გლდანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

ტყის ძვირფასი ბუნებრივი კორომებისა და ხევნარებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
1. სოფ. მოწამეთის სამხრეთ ფერდობებზე გავრცელებული კოლხური ბზა და კოლხური სურო	სოფ. მოწამეთის	ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომს	სოფ. მოწამეთა
2. ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფართობზე ძელქვის კორომი	ვარციხის საბჭოთა მეურნეობის	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს	სოფ. ვარციხე
3. ძელქვის დიდხნოვანი ხეები სოფ. როკითში მცხოვრებ გიორგი ახვლედიანის, სოფ. დიმის მცხოვრებ შალვა და სადიკო ჩხეიძის ეზოებში, აგრეთვე მაიაკოვსკის რაიონული საავადმყოფოს ეზოში	რაისაავადმყოფოს, მოქ. შალვა და სადიკო ჩხეიძეს და გიორგი ახვლედიანის	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს	სოფ. როკითი
4. არყნარი სოფ. სიონში 40 ჰექტ. როგორც უკანასკნელი ნაშთი წარსულში ფართოდ გავრცელებული არყნარებისა	დუშეთის სატყეო მეურნეობის	ყაზბეგის რაიაღმასკომს	სოფ. სიონი
5. ძვირფასი ჯიშის წაბლის, რცხილის და წიფელის კორომი 100 ჰექტ. ფართობზე, სოფ. ჯიმასტარში	სოფ. ჯიმასტარის	წყალტუბოს რაიაღმასკომს	ს. ჯიმასტარი
6. რცხილნარ-მუხნარ-წიფლნარი, სოფ. სორმონში „სამების მთაზე“	სოფ. სორმონის	წყალტუბოს რაიაღმასკომს	ს. სორმონი
7. „ჭიანტყე“ 164 ჰექტ., როგორც ნაშთი ალაზნის პირას გავრცელებული ჭალის ტყეებისა ს. ვაქირთან	სიღნაღის სატყეო მეურნეობის	სიღნაღის რაიაღმასკომს	ს. ვაქირი
8. ყარაღაჯის ტყე 118 ჰექტ.—ნაშთი ჭალის ტყისა, სოფ. ყარაღაჯთან	სიღნაღის სატყეო მეურნეობის	„	ს. ყარაღაჯი
9. „დაცული ტყე“ 23 ჰექტ. ნაშთი მუხნარი ტყისა სოფ. ზემო ბოდბეში	სოფ. ზემო ბოდბეს	სიღნაღის რაიაღმასკომს	ს. ზემო ბოდბე
10. ორკეს მთის ნაძვნარი 2 ჰექტ. ნაშთი ნაძვნარი ტყეებისა	ს. ზემო ხეთის	ჩოხატაურის რაიაღმასკომს	ს. ზემო ხეთი
11. ბუნებრივი წარმოშობის ჭალის მუხნარის კორომი სოფ. ერეთისკარში	ს. ერეთისკარის კოლმეურნეობის	ლაგოდეხის რაიაღმასკომს	ს. ერეთისკარი
12. ბზის კორომი ბზიფის ხეობაში	გაგრის სატყეო მეურნეობის	გაგრის სატყეო მეურნეობის რიწის დირექციას	ბზიფის ხეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
13. ბუნებრივად გავრცელებული დაფნა ურთას მთაზე	ზუგდიდის სატყეო მეურნეობის	ზუგდიდის სატყეო მეურნეობას	ქ. ზუგდიდი
14. ძელქვის კორომი სოფ. ცაიშში	კურორტ ცაიშის დირექციის	ზუგდიდის სატყეო მეურნეობას	ს. ცაიში
15. არყნარი, მთა „აბულზე", როგორც ნაშთი წარსულში გავრცელებული არყნარისა	ახალციხის სატყეო მეურნეობის	ახალციხის რაიაღმასკომს	მთა აბული
16. მთა „აბულზე" გავრცელებული ჭნავის კორომი შავნაბადასთან	„	ახალციხის რაიაღმასკომს	„
17. ბზის კორომი ყვარელში	ყვარლის საბჭოთა მეურნეობის	ყვარლის რაიაღმასკომს	ბურსის ხეობა
18. ბზის კორომი სოფ. შამკევანის მახლობლად	მცხეთის რაიონის სოფ. საგურამოს კოლმეურნეობის	მცხეთის რაიაღმასკომს	ს. შამკევანი
19. ლაფნის კორომი მდ. სტორის გასწვრივ სოფელ ფშაველთან. ნაშთი ლაფნის ტყეებისა	თელავის და ახმეტის სატყეო მეურნეობების	თელავისა და ახმეტის რაიაღმასკომებს	ს. ფშაველი
20. წმინდა გიორგის მუხნარი სოფ. ტყვიავში	სოფ. ტყვიავის ს/საბჭოს	გორის რაიაღმასკომს	ს. ტყვიავი
21. დიდხნოვანი ჭადრის ხეები სალხინოში	სალხინოს ს/საბჭოს	გეგეჭკორის რაიაღმასკომს	ს. სალხინო
22. კაკლის ბუნებრივი კორომი მდ. ხრამის პირას	ბოლნისის სატყეო მეურნეობის	ბოლნისის რაიაღმასკომს	მდ. ხრამის პირას
23. კევის ხე, ღვიები, ბროწეული და სხვა ჯიშები ლეკის წყლის, არღადარას და ღორის წყლის ხეობებში	წითელწყაროს სატყეო მეურნეობის	წითელწყაროს რაიაღმასკომს	ელდარის ზეგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
24. პონტოს მუხის კორომი (1200 ჰექტ.), როგორც მესამეული ხანის რელიქტური ტყის ნაშთი	ჩოხატაურის რაისატყეოს	ჩოხატაურის რაისატყეოს	ს. ჩხაკოურა
25. ნაღვარევი, როგორც ნიმუში ნიადაგდაცვითი და წყალშემკავებელი თვისებების მქონე ტყისა დიდ დაქანების ფერდობზე	ბაკურიანის სატყეო მეურნეობის	ბაკურიანის სატყეო მეურნეობის დირექციას	ს. დაბა
26. ბზის კორომი ოკრიბაში	ქუთაისის სატყეო მეურნეობის	ტყიბულის საქალაქო აღმასკომს	ს. ოკრიბა
27. უთხოვარი — მესამეული ხანის რელიქტი აჭარის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ძირითადად ყოროლის წყლის ხეობაში, სოფ. ჩაისუბნიდან მთა მტირალამდე მდინარის ნაპირების გასწვრივ 2 კმ. ზოლით და სოფ. აჭის მიდამოებში.	აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	ბათუმის და ქობულეთის სატყეო მეურნეობებს	ყოროლის წყლის ხეობა
28. ბზის კორომები კინტრიშის ხეობის გასწვრივ სოფ. ჭახათიდან სოფ. დიდვაკემდე, მდინარე მაჭახელას ხეობა, მაჭახელაჰესის მიდამოები	აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	ქობულეთის სატყეო მეურნეობას და კინტრიშის ნაკრძალის დირექციას	მდ. კინტრიშის ხეობა
29. წაბლის ბუნებრივი კორომები მდინარე კინტრიშის მარჯვენა მხარეს სოფ. დიდი ვაკის და ხინოს მიდამოებში	»	»	»
30. მესამეული ხანის რელიქტები: მედვედევის არყი, პონტოს მუხა, ორფანიდეზია და უნგერნის შქერი ნამწვის წყლის ხეობაში და ყოროლის წყლის სათავეებში, ასევე ხისმაგვარი წყავი ჩაქვის წყლის, ყოროლის წყლის, კინტრიშის წყლის ხეობებში	»	ბათუმის და ქობულეთის სატყეო მეურნეობებს, ასევე კინტრიშის სახ. ნაკრძალის დირექციას	ნამწვის წყლის, ყოროლის წყლის, ჩაქვის წყლის ხეობები
31. ჯაგრცხილის ბუნებრივი კორომები ჭოროხის ხეობის სამხრეთ ფერდობებზე ერგეს მიდამოებში 3-5 კილომეტრ მანძილზე გზის გასწვრივ	»	ბათუმის სატყეო მეურნეობას	ჭოროხის წყლის ხეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
32. თიკერის კოლხური ტყის აღკვეთილი 484 ჰექტ.	ქობულეთის სატყეო მეურნეობის	ქობულეთის სატყეო მეურნეობას	სოფ. თიკერი
33. პონტოს მუხა, უნგერნის შქერი, მედვედევის არყი, სმირნოვის შქერი მერისის წყლის ხეობაში და სოფ. ნამონასტრევის მიდამოებში	აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	ბათუმის სატყეო მეურნეობის მერისის სატყეოს	მერისის წყლის ხეობა
34. მესამეული ხანის რელიქტი წყავმაზა, რომელიც გავრცელებულია ალგესის მიდამოებში	"	სოფელ აგარის და მახუნცეთის სოფ. საბჭოებს	აგარა
35. ჭოროხის მუხა ჭვანის ხეობაში, სოფ. წყალსაყარის მიდამოებში, აჭარის წყლის ხეობაში ყოფ. ცხმორისის და დანდალოს მიდამოებში	ს. წყალსაყარისა და ცხმორისის ტერიტორიაზე	ქედის და ხულოს რაიაღმასკომებს	სოფელ წყალსაყარი და ცხმორისი
36. ჭოროხის მუხა და უხრავი ჩირუხის წყლის მარჯვენა მხარზე შუა დინებაში და უხრავი სოფ. შუბანისა და შუახევს შორის	სოფელ შუახევისა და შუბანის ტერიტორიაზე	ქედისა და ხულოს რაიაღმასკომებს	ს. შუახევი და შუბანი
37. კავკასიური რცხილის ნაკვეთი 200 ჰექტ. ოჩამჩირეს რაიონში	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	ოჩამჩირის რაიაღმასკომს	ს. ოჩამჩირე
38. ქართული მუხის კორომი ხმელთაშუაზღვის ფლორის ელემენტებით (მარწყვის ხე, მანანას ხე და საკმელის ხე) 500 ჰექტ. ხნოვანება 90 წ.	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	გუდაუთის რაიაღმასკომს	ს. მიუსერა
39. შავი ზღვის სანაპიროზე შენარჩუნებული ბიჭვინთის ფიჭვის რელიქტი ძველ გაგრასა და ცივწყალას მიდამოებში, ასევე ზღვისპირა კლდეებზე 100 ჰექტ. საშუალო ხნოვანება 40 წ.	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	გაგრის რაიაღმასკომს	ძვ. გაგრასა და ცივწყალას მიდამოები
40. ბზის ბუნებრივი კორომები შენარჩუნებული ბზიფის ხეობაში, მდ. იუფშარას და მდ. გეგას შესართავთან 200 ჰექტ. ხნოვანება—80-100 წ.	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	რიწა-ბიჭვინთის ნაკრძალის დირექციას	მდ. ბზიფის, გეგას და იუფშარას ხეობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
41. ბზის კორომი ოქუმის ხეობაში, როგორც რელიქტური ჯიში. 70 ჰექტ. ხნოვანება 80-100 წელი	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	გალის რაიაღმასკომს	ოქუმის ხეობა
42. ქართული მუხის კორომი, რომელიც გავრცელებულია ახალი ათონის ირგვლივ დიდი დაქანების ფერდობებზე და აქვს უაღრესად ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა, ხნოვანება — 50 წელი, ფართობი— 500 ჰექტ.	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	გუდაუთის რაიაღმასკომს	დ. ახალი ათონი
43. შავიზღვის სანაპიროზე სოფ. სკურჩში ბზის დაბლობი ტყე 50 ჰექტ. ხნოვანება — 45 წელი	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	ოჩამჩირის რაიაღმასკომს	ს. სკურჩა
44. რელიქტური ჯიშის უთხოვარის ხევნარი მდ. კოდორის ხეობაში, წარმოდგენილი დიდხნოვანი ხეებით	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	გულრიფშის რაიაღმასკომს	დაბა ამზარა ბაგადოს კლდეებთან
45. დაფნის ბუნებრივი ბუჩქნარი, რომელიც გავრცელებულია ქოეკვარას ხეობაში 1 ჰექტ. ხნოვანება — 100 წელი	„	გაგრის რაიაღმასკომს	მდ. ქოეკვარას ხეობა
46. შავი ზღვის სანაპიროზე ინკიტის ტბის მახლობლად გავრცელებული რელიქტური ბზისა და ჯაგრცხილის ხევნარი 50 ჰექტ. ხნოვანება 60-70 წ.	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	რიწა-ბიჭვინთის ნაკრძალის დირექციას	ტბა ინკიტის მიდამოები
47. ახალი გაგრა — კორპის მუხის კორომი, ხმელთაშუა ზღვის მცენარეების აკლიმატიზაციის ნიმუში, ფართობით 2 ჰექტ. ხნოვანება — 60 წ.	„	გაგრის რაიაღმასკომს	ახალი გაგრა
48. აგუძერის კორპის მუხის კორომი, ხმელთაშუა ზღვის მცენარეების აკლიმატიზაციის ნიმუში, 30 ჰექტ. ხნოვანება — 60 წ.	„	გულრიფშის რაიაღმასკომს	ს. აგუძერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
49. ბირცხის მთის ხელუხლებელი წიფლის კორომი, როგორც უაღრესად დაცვითი მნიშვნელობისა დიდი დაქანების ფერდობებზე 150 ჰექტ.	აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამმართველოს	გუდაუთის რაიაღმასკომს	ბირცხის მთის მიდამოები
50. მდინარე კოდორის პირას კაკლის დიდხნოვანი ბუნებრივი კორომი ფართობით 2 ჰექტ; ხნოვანება — 80 წ.	"	ოჩამჩირის რაიაღმასკომს	ს. ქოჩარა
51. მდ. ბზიფის პირას დიდხნოვანი კაკლის კორომი 50 ჰექტ.	"	გუდაუთის რაიაღმასკომს	ფსხუს დასახლება „სერებიანი"
52. გამყინვარების პერიოდის რელიქტი, კავკასიური ფიჭვის ხევნარი. 100 ჰექტ. ხნოვანება — 60 წ.	"	გულრიფშის რაიაღმასკომს	სოფ. აჟარა
53. ქ. თელავის მიდამოების ახლო მდებარე მუხნარ-რცხილნარი და წიფლნარი, როგორც ქალაქის მწვანე ზონის ტყის ძვირფასი მასივი ციგომბორის ჩრდილოეთ ფერდობზე 3490 ჰექტ. საზღვრები: დასავლეთით ღარების თავი, აღმოსავლეთით — შალაურის ხევი, ჩრდილოეთით — სოფ. ვარდისუბანი, ქ. თელავი, სოფ. შალაური, სამხრეთით — მთა ციცი	თელავის სატყეო მეურნეობის	თელავის რაიაღმასკომს	თელავის მიდამოები
54. სოფელ დიღომის „თელა წყაროსთან" დარჩენილი ჭალის ტყის ნაშთი — 8 ძირი თელა	დიღომის ს/საბჭოს	გარდაბნის რაიაღმასკომს	ს. დიღომი
55. სოფელ აგარაკთან ჭალის ტყის ნაშთი — 11 ძირი თელა	ლისის ს/საბჭოს	"	ს. აგარაკი
56. სოფ. ბაგებთან ნათელი ტყის ნაშთი 3-5 ჰექტ. ბროწეული, ლეღვი, თუთუბო, აკაკი, ძეძვი და სხვა	ბაგების სატყეო უბნის	თბილისის სატყეო მეურნეობას	ს. ბაგები
57. ს. წკადისთან „გაბრიელას" მუხნარი, წყალდაცვითი მნიშვნელობის	ხოტევის სასოფლო საბჭოს	ამბროლაურის რაიაღმასკომს	ს. წკადისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ობიექტების დასახელება და დახასიათება	ვის გამგებლობაშია	ვის ევალება დაცვა	ადგილმდებარეობა
58.	კუს ტბის მიდამოებში შემორჩენილი მუხნარ-რცხილნარი კორომი, 20-25 ჰექტ. „ბულბულის ჭალად“ ცნობილი (იფანი, ჯაგრცხილა, მინდვრის ნეკერჩხალი, ტირიფები, ვერხვი, თელა, ზღმარტელი, ლეკის ხე, კუნელი და სხვა).	თბილისის სატყეო მეურნეობის	თბილისის სატყეო მეურნეობას	კუს ტბის მიდამოები
59.	თბილისის საცურაო აუზთან და ტელმანის სახ. პარკთან ჭალის ტყის ნაშთი — დიდხნოვანი ვერხვები	ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომის გამწვანების კანტორის	თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომს	ქ. თბილისის საცურაო აუზი
60.	საგარეჯოს სასმელი წყლის სათავეში მუხნარ-რცხილნარ-ეერხვნარი 12 ჰექტ. როგორც სასმელი წყლის საცავი ტყე	საგარეჯოს სატყეო მეურნეობის	საგარეჯოს რაიაღმასკომს	დაბა საგარეჯო „სათავე“
61.	საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგი წმინდას სასმელი წყლის სათავეში მუხნარ-კაკლნარი	„	„	სოფ. გიორგი წმინდა „სათავე“
62.	საჩხერის რაიონის ს. კალვათის ყოფ. ეკლესიის ეზოში 29 ძირი ბუნებრივი წარმოშობის მუხა და რცხილა	ს. კალვათის	საჩხერის რაიაღმასკომს	ს. კალვათი
63.	საჩხერის რაიონის ს. ჩიხის ყოფ. ეკლესიის ეზოში ბზის ბუნებრივი კორომი	ს. ჩიხის	საჩხერის რაიაღმასკომს	ს. ჩიხი
64.	საჩხერის რაიონის ს. ცხამის ყოფ. ეკლესიის ეზოში ურთხმელის კორომი	ს. ცხამის	საჩხერის რაიაღმასკომს	ს. ცხამი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ი ა

დიდხნოვანი ხეებისა, რომლებიც სახელმწიფოს დაცვას ექვემდებარებიან

ობიექტის დასახელება და დახასიათება	ადგილმდებარეობა	ვის ევალება დაცვა
1. „მტირალა ნაძვი“	ქ. დუშეთი, პიონერთა სახლის წინ	დუშეთის რაიაღმასკომს
2. დიდხნოვანი მუხა	დუშეთის რაიონის სოფ. ოძისი. გიორგი ერისთავის სახლ-მუზეუმის ეზო	დუშეთის რაიაღმასკომს
3. დიდხნოვანი ჭადარი სიმაღლე — 32 მ, დიამეტრი — 126 სანტ.	ქ. ლაგოდეხი	ლაგოდეხის რაიაღმასკომს
4. დიდხნოვანი ჭადრის, მუხისა და ცაცხვის ხეები	სამტრედიის რაიონის სოფ. ზედა ვანის ყოფ. სასაფლაოს ტერიტორია	სამტრედიის რაიაღმასკომს
5. დიდხნოვანი ძელქვა	სოფ. ზედავანის მცხოვრებ ტ. სანადაძის და რაიონის ადმინისტრაციული სახლის ეზო	სამტრედიის რაიაღმასკომს
6. დიდხნოვანი ჭადრის, მუხის, ცაცხვის, ნაძვის ხეები	უხუთის ყოფ. ეკლესიის ეზო სოფ. ტობანიერის ტერიტორიაზე	სამტრედიის რაიაღმასკომს
7. დიდხნოვანი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები	სოფ. ჩრდილის	ზესტაფონის რაიაღმასკომს
8. ცაცხვი 300 წლისაა	სოფ. სარგვეში მცხოვრებ დავით ვლადიმერის ძე ჩიკვაიძის ეზო	ზესტაფონის რაიაღმასკომს
9. დიდხნოვანი მუხა	სოფ. კალვათის ყოფ. ეკლესიის ეზო (ჭიათურა)	ჭიათურის საქალაქო აღმასკომს
10. დიდხნოვანი ბზა	ჭიათურის რაიონი, სოფ. ჩიხის ეკლესიის ეზო (ჭიათურა)	"
11. დიდხნოვანი ურთხმელი	ჭიათურის რაიონი, სოფ. ცხამის ყოფ. ეკლესიის ეზო (ჭიათურა)	"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტის დასახელება და დახასიათება	ადგილმდებარეობა	ვის ევალება დაცვა
12. დიდხნოვანი „ერასტოს მუხა“	საგარეჯო	საგარეჯოს რაიაღმასკომს
13. დიდხნოვანი „სააკაანთ ცაცხვი“	საგარეჯო	საგარეჯოს რაიაღმასკომს
14. დიდხნოვანი ვერხვი	საგარეჯოს რაიონი, წყაროს წყლის სათავე	საგარეჯოს რაიაღმასკომს
15. დიდხნოვანი ცაცხვნარი	წყალტუბოს რაიონი, სოფ. მაღლაკის სასაფლაოს ტერიტორიაზე	წყალტუბოს რაიაღმასკომს
16. ძელქვნარი	უკანეთის. სასაფლაოს ტერიტორიაზე	წყალტუბოს რაიაღმასკომს
17. ცაცხვნარი	სოფ. ხომულის სასაფლაოს ტერიტორიაზე	წყალტუბოს რაიაღმასკომს
18. ცაცხვნარი	წყალტუბოს რაიონის სოფ. ზარათის სასაფლაოს ტერიტორიაზე	წყალტუბოს რაიაღმასკომს
19. დიდხნოვანი ცაცხვის და კაკლის ხეები	წყალტუბოს რაიონის სოფ. დერჩში მცხ. წერეთლის და მექი ასათიანის ეზო	წყალტუბოს რაიაღმასკომს
20. ძელქვნარი (რელიქტური კოროში)	წყალტუბოს რაიონის სოფ. ბანოჯის ქვაბას უბანი, გზატკეცილის გაყოლებით	წყალტუბოს რაიაღმასკომს
21. დიდხნოვანი თელა	„საქსოფლტექნიკის“ ახმეტის რაიონული კანტორის ეზო	ახმეტის რაიაღმასკომს
22. დიდხნოვანი მუხა	დაბა ახმეტაში მცხ. გიორგი დიმიტრის ძე შაშიაშვილის ეზო	ახმეტის რაიაღმასკომს
23. დიდხნოვანი მუხა	ახმეტის რაიონი, დაბა ახმეტაში მცხ. გიორგი მამაგულაშვილის ეზო	ახმეტის რაიაღმასკომს
24. დიდხნოვანი მუხა	ახმეტის რაიონი, სოფ. ბოპორმა	ახმეტის რაიაღმასკომს
25. დიდხნოვანი იფანი	ახმეტის რაიონის სოფ. მატანი	ახმეტის რაიაღმასკომს
26. დიდხნოვანი იფანი	ახმეტის რაიონის სოფ. ხახმატი	ახმეტის რაიაღმასკომს
27. დიდხნოვანი მუხა	ახმეტის რაიონის სოფ. წინუბანი	ახმეტის რაიაღმასკომს
28. ზეთის ხილის ხე 250 წ.	დ. ჩხარში მცხ. ყუხულოვის ეზო	თერჯოლის რაიაღმასკომს
29. დიდხნოვანი ძელქვა	სოფ. ეწერში მცხ. იშხნელის ეზო	თერჯოლის რაიაღმასკომს
30. დიდხნოვანი ძელქვა 250 წ.	თერჯოლის რაიონის სოფ. ღვანკითის ძველი ეკლესიის ეზო	თერჯოლის რაიაღმასკომს
31. აკლიმატიზებული დიდხნოვანი კამფეტის ხე	დ. ჩხარის პარკი	თერჯოლის რაიაღმასკომს
32. დიდხნოვანი ცაცხვი	თერჯოლის რაიონის სოფ. ღვანკითის ბაგრატიონის ყოფილი ეზო	თერჯოლის რაიაღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტის დასახელება და დახასიათება	ადგილმდებარეობა	ვის ევალება დაცვა
33. „კოხტა რცხილა“	მდ. ბურსის ხეობაში ყვარლის რაიონი	ყვარლის რაიაღმასკომს
34. დიდხნოვანი უთხოვარი	მდ. დურუჯის ხეობა, უთხოვრების ხევი, ყვარლის რაიონი	ყვარლის რაიაღმასკომს
35. დიდხნოვანი მუხა	დაბა მაიაკოვსკში მცხ. არკადი, ნინუას, შალვა ტყეშელაშვილის ეზო, მაიაკოვსკის, ეგ. ნინოშვილის სახ. საშუალო სკოლის, საკობაძეოს ყოფ. ეკლესიის ეზოები	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს
36. დიდხნოვანი მუხა	მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმში მცხ. ამბროსი ებანოიძის ეზო	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს
37. დიდხნოვანი მუხები	მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ობჩის საშუალო სკოლის ეზო	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს
38. დიდხნოვანი აკლიმატიზებული კედარი	მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმში მცხ. ბაგრატ ებანოიძის ეზო	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს
39. დიდხნოვანი ცაცხვი	სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის უბანი	სამტრედიის რაიაღმასკომს
40. დიდხნოვანი ცაცხვი 9 ძირი	სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს ოქტომბრის უბანი	სამტრედიის რაიაღმასკომს
41. დიდხნოვანი ჭადარი 1 ძირი და ცაცხვი 4 ძირი	სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სას. საბჭოს რუსთაველის უბანი	„
42. დიდხნოვანი ცაცხვი 9 ძირი	სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სას. საბჭოს ყაზბეგის უბანი	
43. დიდხნოვანი ცაცხვი 14 ძირი, ჭადარი 4 ძირი	სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სას. საბჭოს სერგეთის სასაფლაოს ტერიტორიაზე	„
44. დიდხნოვანი ცაცხვი 16 ძირი, ჭადარი 7 ძირი	სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სას. საბჭოს ქაშვეთის სასაფლაოს ტერიტორიაზე	„
45. დიდხნოვანი ცაცხვი 2 ძირი, მუხა 3 ძირი	სამტრედიის რაიონის ოფეთის კოლმეურნეობის ეზო	„
46. დიდხნოვანი ჭადარი 2 ძირი	სამტრედიის რაიონის ოფეთის სას. საბჭოს შვიდწლედის სკოლის ეზო	„
47. დიდხნოვანი ცაცხვი 1 ძირი	სამტრედიის რაიონის ოფეთის სას. საბჭოს საშუალო სკოლის ეზო	„
48. დიდხნოვანი ცაცხვი 3 ძირი, ჭადარი 1 ძირი	სამტრედიის რაიონის ოფეთის სას. საბჭოს ტერჩოულის უბანი	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტის დასახელება და დახასიათება	ადგილმდებარეობა	ვის ევალება დაცვა
49. დიდხნოვანი მუხა 2 ძირი, ცაცხვი 6 ძირი და ჭადარი 3 ძირი	სამტრედიის რაიონის ოფეთის სას. საბჭოს ეზო	სამტრედიის რაიაღმასკომს
50. დიდხნოვანი ცაცხვი 7 ძირი	სამტრედიის რაიონის, გამოჩინებულის სასოფლო საბჭოს ეზო	„
51. დიდხნოვანი ცაცხვი 5 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. ნოღა	„
52. დიდხნოვანი ჭადარი 8 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. საჯავახო	„
53. დიდხნოვანი ჭადარი 2 ძირი, ცაცხვი 6 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. ნიგორზღვა	„
54. დიდხნოვანი ცაცხვი 1 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის მეორე უბანი	„
55. დიდხნოვანი ცაცხვი 4 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის მეხუთე უბანი	„
56. დიდხნოვანი ცაცხვი 2 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. გვიმრალი	„
57. დიდხნოვანი ცაცხვი 1 ძირი, ჭადარი 1 ძირი	სამტრედიის რაიონის ეწერის სას. საბჭოს ეზო	„
58. დიდხნოვანი ცაცხვი 8 ძირი	სამტრედიის რაიონის სოფ. კულაში	„
59. დიდხნოვანი ცაცხვი 80 წლის	ამბროლაურის რაიონის სოფ. ბარში მცხ. ავრაფინა ლანდიას საკარმიდამო ეზო	ამბროლაურის რაიაღმასკომს
60. დიდხნოვანი კაკლის ხე	ამბროლაურის რაიონის სოფ. კახურა	ამბროლაურის რაიაღმასკომს
61. დიდხნოვანი 3 ძირი ცაცხვი, (700 წლის)	ონის რაიონის სოფ. უწერა	ონის რაიაღმასკომს
62. დიდხნოვანი 3 ძირი უთხოვარი (1200 წლის)	ონის რაიონის სოფ. წედისი	„
63. დიდხნოვანი უთხოვარი, ცაცხვები, კოპიტი	სამტრედიის რაიონის სოფ. ქორთა	სამტრედიის რაიაღმასკომს
64. დიდხნოვანი მუხები, ცაცხვი (600 წლის)	სორის სასოფლო საბჭოს, სამტრედიის რაიონის აღმასკომის ეზო	„
65. დიდხნოვანი მუხები (700 წლის)	ქ. ონის „მოედნის“ ციხეებთან	ონის რაიაღმასკომს
66. თუთის ბუნებრივი კორომი	მუღანლოს საბჭოთა მეურნეობა (მდ. ხრამის სანაპიროზე)	მარნეულის რაიაღმასკომს
67. დიდხნოვანი ჭადარი (800 წლის)	ქ. თელავი	თელავის რაიაღმასკომს
68. დიდხნოვანი ცაცხვი „ნადიკვარზე“	ქ. თელავი	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტის დასახელება და დახასიათება	ადგილმდებარეობა	ვის ევალება დაცვა
69. ფიქვის რამოდენიმე ხე, როგორც ნაშთი წარსულში გავრცელებული ფიქვნარებისა	ყაზბეგის რაიონი	ყაზბეგის რაიაღმასკომს
70. ჭადარი 1 ძირი	წითელწყაროს რაიონი, სოფ. ზემო ქედის საკოლმეურნეო მინდორზე	წითელწყაროს რაიაღმასკომს
71. დიღმის მასივთან ორი ძირი თელა, როგორც ნაშთი მდინარე მტკ. პირის ტყეებისა	ქ. თბილისის პირველი მაისის რაიაღმასკომის გამწვანების კანტორა	ქ. თბილისის პირველი მაისის რაიაღმასკომს
72. სოფ. დიღომთან „ქაჯთწყაროსთან“ მდგომი დიდხნოვანი თელა	გარდაბნის რაიონი, სოფ. დიღომი	გარდაბნის რაიაღმასკომს
73. დიდხნოვანი მუხა	წყალტუბოს რაიონი, სოფ. გვიშტიბი, მოქ. პ. იოსელიანის საკარმიდამო ეზო	წყალტუბოს რაიაღმასკომს
74. დიდხნოვანი წაბლი	ბორჯომის რაიონი, ს. ტაშისკარი, რკინიგზის ხიდის მახლობლად	ბორჯომის რაიაღმასკომს
75. ცაცხვი დიდხნოვანი	ჩოხატაურის რაიონი ს. ფარცხამი (ველებში)	ჩოხატაურის რაიაღმასკომს
76. კოპიტი დიდხნოვანი	წყალტუბოს რაიონი, ს. გვიშტიბი (ე. იოსელიანის საკარმიდამო ეზო)	წყალტუბოს რაიაღმასკომს
77. მუხა დიდხნოვანი	ახმეტის რაიონი, „ლაშარისჯვრის“ გვერდით	ახმეტის რაიაღმასკომს
78. დიდხნოვანი მუხა 700 წლისა	წყალტუბოს რაიონის ს. ზემოდერჩი, აგრონომ მ. ასათიანის საკარმიდამო ეზო	წყალტუბოს რაიაღმასკომს
79. დიდხნოვანი მუხა 600 წლისა	ამბროლაურის რაიონი, ს. ზემობუგეული	ამბროლაურის რაიაღმასკომს
80. ქვაზე ამოსული უთხოვარი	ბორჯომის რაიონი, ს. დაბა	ბორჯომის რაიაღმასკომს
81. მუხა დიდხნოვანი	ამბროლაურის რაიონი, ს. ლინეთი ა. ვანთელაძის ეზო	ამბროლაურის რაიაღმასკომს
82. ცაცხვი დიდხნოვანი	ამბროლაურის რაიონი, ს. კრიხი, ყოფ. ეკლესიის ეზო	„
83. ცაცხვი დიდხნოვანი	ამბროლაურის რაიონი, ს. წკადისი, ქ. ლექავას ეზო	„
84. ცაცხვი დიდხნოვანი	ამბროლაურის რაიონი, მაჩაბლის ყოფილი ეზო	„
85. ცაცხვი დიდხნოვანი	ამბროლაური (კავშირგაბმულობის ეზო)	„
86. კაკალი დიდხნოვანი	თელავის რაიონი, ს. გულგულა	თელავის რაიაღმასკომს
87. კაკალი დიდხნოვანი	გარდაბნის რაიონი, ს. მარტყოფი	გარდაბნის რაიაღმასკომს
88. მუხა დიდხნოვანი	ს. ზემო ავჭალა	„

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ᲨᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 4

ს ი ა

იშვიათი სახეობის მცენარეებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან

ხეები

1. უთხოვარი
2. ძელქვა
3. საკმელის ხე (კევისხე, საღსალაჯი)
4. მედვედევის არყი
5. მეგრული არყი
6. პონტოს მუხა
7. სახოკიას ბერყენა
8. კოლხური ბზა

ბუჩქები

9. უნგერნის და სმირნოვის შქერი
10. ხემარწყვა
11. მანანა
12. კნაპა
13. ხისმაგვარი გვიმრა
14. გულისებრი ხეჭრელი
15. ყირიმული საკმელა
16. ყამბრო (კუნელი)

ბალახეული მცენარეები

17. სტევენის იორდასალამი
18. ქართული სატილა
19. კოჯრის გლერძა
20. ლაგოდეხის ნაღველა
21. იულიას ფურისულა
22. მრგვალი წამალი
23. კოლენატის მაჩიტა
24. სვანური მაჩიტა
25. ლაგოდეხის იორდასალამი
26. წყალკრეფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკურნალო მცენარეები

27. დათვის მოცვი
28. უცუნა
29. სათოვლია
30. ხარისშუბლა
31. კატაბალახა
32. შროშანა
33. შმაგა ანუ გიჟანა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

№ 639

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის №1110
დადგენილების დანართი

ციტრუსების დიდხნოვანი ხეები, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას

ობიექტების დასახელება და დახასიათება	ადგილმდებარეობა	ვის ევალება დაცვა
1. ფორთოხლის ბაღი, სადაც მოიპოვება 40 ძირი ფორთოხლის ხე (70—80 წლისა), დიამეტრი — 25-35 სანტ. სიმაღლე — 6-9 მეტრი	სოფელ გონიოს ტერიტორიაზე ხასან შანიძის და მუხამედ ბარამიძის საკარმიდამო ეზოები	ბათუმის რაიაღმასკომს
2. ფორთოხლის ორი ეგზემპლარი (100—110 წლისა), დიამეტრი — 35 სანტ. სიმაღლე — 10-11 მეტრი	სოფელ გონიოს ტერიტორიაზე მუხამედ სარალიძის საკარმიდამო ეზო	ბათუმის რაიაღმასკომს
3. მანდარინის ერთი ეგზემპლარი (35 წლისა), დიამეტრი — 20 სანტ. სიმაღლე — 6 მეტრი	სოფელ გონიოს ტერიტორიაზე ყაბიმ სურამანიძის საკარმიდამო ეზო	ბათუმის რაიაღმასკომს
4. მანდარინის 10 ეგზემპლარი (55 წლისა). დიამეტრი — 20-25 სანტ. სიმაღლე — 6-7 მეტრი	სოფელ გონიოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქორიძის საკარმიდამო ეზო	ბათუმის რაიაღმასკომს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 6

ს ი ა

ფაუნის სახეობებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან

სახეობის დასახელება	ნადირობის აკრძალვის ვადა
ძუძუმწოვრები	
1. ჯეირანი	მუდმივად
2. ნიამორი	მუდმივად
3. არჩვი	მუდმივად
4. წავი	10 წელი
5. ჯიქი	მუდმივად
6. აფთარი	მუდმივად
ფრინველები	
7. დურაჯი	მუდმივად
8. მთის არწივი	მუდმივად
9. ორბი	მუდმივად
10. ბუები	მუდმივად
11. ყველა მგალობელი ფრინველი	მუდმივად
წყალხმელეთა	
12. სალამანდრა	მუდმივად

ზემოჩამოთვლილ სახეობათა დაცვა ევალება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 7

ს ი ა

მკვდარი ბუნების ძეგლებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან

ძეგლის დასახელება	ძეგლის ადგილ-მდებარეობა	ვის გამგებლობაშია	ძეგლების დახასიათება	მოვლა დაევალოს
1. ზურტაკეტის ხეობა	დმანისის რაიონი	გომარეთის, არხის კოლმეურნეობების, ყარა-ბულახის საბჭოთა მეურნეობის	დასაცავი ობიექტი წარმოადგენს მდ. ყარა-ბულახის მონაკვეთს სოფ. ახადან მდ. ხრამის შესართავამდე. ბაზალტის პლატოში (200 მეტრამდე) ღრმად ჩაჭრილ ხეობაში მრავალი მღვიმე-გამოქვაბულია. ბაზალტის პლატოდან გამოედინება შესანიშნავი ჩანჩქერები. მდინარე მდიდარია კალმახით	დმანისის რაიაღმასკომს
2. დავითის უბნის მღვიმე-გამოქვაბულთა კომპლექსი	დმანისის რაიონი	ს. ოროზმნის კოლმეურნეობის	დასაცავი ძეგლი წარმოადგენს მდ. მაშავერას ერთ-ერთი სათავე შენაკადის — კეჩუთის წყლის მარცხენა ნაპირის ფლატეში განლაგებულ უნიკალურ მღვიმე-გამოქვაბულებს, რომლებიც ვახუშტის ცნობით, დავით გარეჯელის მიერაა აგებული	დმანისის რაიაღმასკომს
3. მონასტერ პირღებულის მღვიმე-გამოქვაბული	თეთრიწყაროს რაიონი	ს. სამშვილდის კოლმეურნეობის	მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, ისტორიულ მონასტერ პირღებულიდან 500 მეტრ მანძილზე უნიკალური მღვიმე-გამოქვაბულია ბაზალტის ფლატეში შეჭრილი და კირქვის ნაყონებით ინკრუსტირებული	თეთრიწყაროს რაიაღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის დასახელება	ძეგლის ადგილ-მდებარეობა	ვის გამგებლობაშია	ძეგლების დახასიათება	მოვლა დაეკვალოს
4. ანაკოფიის უფსკრული	ახალი ათონის სადაბო საბჭო	ს. ახალი ათონის სადაბო საბჭოს აღმასკომის	უდიდესი კარსტული სიღრმე საბჭოთა კავშირში — 200 მეტრზე ზედაპირიდან მდებარეობს ახალი ათონის ტერიტორიაზე. მრავალი დარბაზი (სიმაღლით 80 მეტრამდე) მოჩუქურთმებულია უნიკალური ნაკონით, კირქვული ფორმებით (სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ფარდები და სხვა) საჭიროა კეთილმოწყობა და დაცვა	გუდაუთის რაიაღმასკომს
5. გეგას მღვიმე და ჩანჩქერი	გუდაუთის რაიონი	გუდაუთის რაიაღმასკომის	ბზიფის ხეობაში გეგას მღვიმებიდან, გამოედინება შესანიშნავი სილამაზის ჩანჩქერი დაახლოებით 50 მეტრ სიმაღლიდან, ძირს კი არის სტალაქტიტებიანი მღვიმე	რიწის ნაკრძალის დირექციას
6. აბლასკირას და ოტაფის მღვიმეები	ოჩამჩირეს რაიონი	ოჩამჩირის რაიაღმასკომის	ოჩამჩირის ახლოს (18 კილომეტრი გზატკეცილიდან) სოფელ ჭლოუს მახლობლად მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი უშესანიშნავესი მღვიმე — აბლასკირა, აქვე, ერთი კილომეტრის მანძილზე არის მეორე მღვიმე — ოტაფის თავი, რომლებიც კირქვის კარსტული მღვიმეების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ	ოჩამჩირის რაიაღმასკომს
7. მჭიშტას (შავწყალას) ვოკლუზი	გუდაუთის რაიონი	შავწყალას თევზსაშენი მეურნეობის	გუდაუთის რაიონში მდ. მჭიშტას სათავეში, თევზსაშენი მეურნეობის ტერიტორიაზე შესანიშნავი ტიპური ვოკლუზია. ის ადვილად მისასვლელი და შესანიშნავი ნიმუშია წყაროთა ამ ტიპის სადემონსტრაციოდ	გუდაუთის რაიაღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის დასახელება	ძეგლის ადგილ-მდებარეობა	ვის გამგებლობაშია	ძეგლების დახასიათება	მოვლა დაეევალოს
8. თავკვეთილას მასივი	ახალქალაქის რაიონი	ახალქალაქის რაიაღმასკომის	ახალქალაქის ვულკანური პლატოს ყველაზე მკაფიოდ გამოხატული და ამავე დროს კარგად შენახული ვულკანური კონუსი. (მწვერვალის სიმაღლეა 2.515 მ.)	ახალქალაქის რაიაღმასკომს
9. დურუჯის ხეობის სათავეები	ყვარლის რაიონი	ყვარლის რაიაღმასკომის	მდ. დურუჯის სათავეები კლასიკური ნიმუშია ღვარცოფების წარმოშობის და მათი წყალ-რუების აუზისა, საჭიროა მისი დაცვა. გარდა წმინდა პრაქტიკული მიზნისა (ყვარლის დაცვა ღვარცოფებისაგან), იგი მეტად საინტერესო მაგალითია მდინარის სათავის დინების გასაცნობად	ყვარლის რაიაღმასკომს
10. ხანის წყლის ჩანჩქერი	მაიაკოვსკის რაიონი	მაიაკოვსკის რაიაღმასკომის	მდ. ხანის წყლის ჩანჩქერი ძეტად ლამაზი და საინტერესო ძეგლია	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს
11. გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყე	ახალციხის რაიონი	ახალციხის რაიაღმასკომის	გოდერძის უღელტეხილის ახლოს (ბათუმ-ახალციხის გზატკეცილის 105-ე კილომეტრზე) მდებარეობს გაქვავებული ნამარხი ტყის გაკაჟებული ხეების ბუნებრივი მუზეუმი მესამეული ხანისა. ეს „ტყე" კავკასიის ბუნების შესანიშნავი ძეგლია, რომელიც საქვეყნოდ არის ცნობილი	ახალციხის რაიაღმასკომს
12. თრუსოს ხეობის მინერალური წყლები	ყაზბეგის რაიონი	ყაზბეგის რაიაღმასკომის	თრუსოს ხეობის ნაწილი (სოფ. ოქროყანის მიდამოებში) მრავალნაირი წყაროების ნამდვილი მუზეუმია	ყაზბეგის რაიაღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის დასახელება	ძეგლის ადგილ-მდებარეობა	ვის გამგებლობაშია	ძეგლების დახასიათება	მოვლა დაევალოს
8. თავკვეთილას მასივი	ახალქალაქის რაიონი	ახალქალაქის რაიაღმასკომის	ახალქალაქის ვულკანური პლატოს ყველაზე მკაფიოდ გამოხატული და ამავე დროს კარგად შენახული ვულკანური კონუსი. (მწვერვალის სიმაღლეა 2.515 მ.)	ახალქალაქის რაიაღმასკომს
9. დურუჯის ხეობის სათავეები	ყვარლის რაიონი	ყვარლის რაიაღმასკომის	მდ. დურუჯის სათავეები კლასიკური ნიმუშია ღვარცოფების წარმოშობის და მათი წყალ-რუების აუზისა, საჭიროა მისი დაცვა. გარდა წმინდა პრაქტიკული მიზნისა (ყვარლის დაცვა ღვარცოფებისაგან), იგი მეტად საინტერესო მაგალითია მდინარის სათავის დინების გასაცნობად	ყვარლის რაიაღმასკომს
10. ხანის წყლის ჩანჩქერი	მაიაკოვსკის რაიონი	მაიაკოვსკის რაიაღმასკომის	მდ. ხანის წყლის ჩანჩქერი ძეტად ლამაზი და საინტერესო ძეგლია	მაიაკოვსკის რაიაღმასკომს
11. გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყე	ახალციხის რაიონი	ახალციხის რაიაღმასკომის	გოდერძის უღელტეხილის ახლოს (ბათუმ-ახალციხის გზატკეცილის 105-ე კილომეტრზე) მდებარეობს გაქვავებული ნამარხი ტყის გაკაჟებული ხეების ბუნებრივი მუზეუმი მესამეული ხანისა. ეს „ტყე" კავკასიის ბუნების შესანიშნავი ძეგლია, რომელიც საქვეყნოდ არის ცნობილი	ახალციხის რაიაღმასკომს
12. თრუსოს ხეობის მინერალური წყლები	ყაზბეგის რაიონი	ყაზბეგის რაიაღმასკომის	თრუსოს ხეობის ნაწილი (სოფ. ოქროყანის მიდამოებში) მრავალნაირი წყაროების ნამდვილი მუზეუმია	ყაზბეგის რაიაღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის დასახელება	მდებარეობა	ვის გამგებლობაშია	ძეგლების დახასიათება	მოვლა დაევალოს
13. „შელეთი"—ქართული ჯიშის ფუტკრის საბუდარი	ჩხოროწყუს რაიონი	ქართული ფუტკრის საჯიშე მეურნეობის	„შელეთი" — მდებარეობს ჩხოროწყუს რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდ. გუბის წყლის სათავეებში. აქ გავრცელებულია ქართული ფუტკრის წმინდა ჯიში. ფუტკრის ოჯახები ნაწილობრივად ადგილობრივ სკებშია მოთავსებული. „შელეთი" ქართული ფუტკრის ძირითადი საბუდარია.	მუხურის ფუტკრის საბჭოთა მეურნეობას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 3 დეკემბრის № 710
დადგენილების დანართი № 8

ს ი ა

იშვიათი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარებიან

1. კოლხური სელი
2. ხორბლის ქართული სახეობანი (ზანდური, მახა, დოლის პური)

ამ სახეობათა სახელმწიფო დაცვა ეკისრება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

140 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 690 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 690 დადგენილებისა „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების ხარჯების დაკრედიტების წესის შეცვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. პუნქტი 20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 დეკემბრის № 1748 დადგენილებისა „მოსახლეობისათვის მისაყიდად ავეჯის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1962-1965 წლებში სატბორე მეთევზეობის შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 ივნისის № 411 დადგენილების მე-14 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ვაჭრობის გაუმჯობესების ზოგიერთი დამატებითი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 640 დადგენილების მე-7 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 დეკემბერი, № 712.

141 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 691 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 691 დადგენილებისა „ეკონომიური სტიმულირების, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა თანდართული ცვლილებანი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 28 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოთა ნატურსაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 დეკემბერი, № 713.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 14 დეკემბრის № 713
დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 სექტემბრის № 691 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების, ტექნიკური პირობების, გადაზიდვისა და მომსახურების ტარიფების დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილების მე-2 პუნქტის V ქვეპუნქტის უკანასკნელისწინა აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახლად ასათვისებელ სახეობათა სამოქალაქო პროდუქციის საბითუმო ფასები დაწესდება წინათ ათვისებული ანალოგიური ან კონსტრუქციის, ანდა დანიშნულების მიხედვით მსგავსი პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასების დონის შესაბამისად ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას მისი უფრო მაღალი ნაყოფიერება, აგრეთვე სხვა ტექნიკურ-ეკონომიური უპირატესობანი ახლადგამოშვებული პროდუქციის მომხმარებლებისათვის (პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების ხარჯების შემცირება და შრომის პირობების შემსუბუქება); პრინციპულად იმ ახალ სახეობათა სამოქალაქო პროდუქციის საბითუმო ფასები, რომლებსაც პირველად ითვისებენ სსრ კავშირში და რომლებიც არაა წარმოებული პროდუქციის მსგავსი, დაწესდება დამამზადებელ საწარმოში დაგეგმილი თვითღირებულებისა და დაგეგმილი საშუალო რენტაბელობის საფუძველზე, მაგრამ არა უმეტეს 10 პროცენტისა. ამასთან სამოქალაქო პროდუქციისათვის, გარდა გემებისა, ლოკომოტივებისა, მაგისტრალური სატვირთო ვაგონებისა, ახალი ტექნიკის საცდელი ნიმუშებისა (სერიები, პარტიები) და ახალი სახეობის პროდუქციისა, რომელიც მზადდება ერთჯერადი (ერთეული) შეკვეთებით, დაგეგმილ თვითღირებულებაში, რომელიც მიღებულია საბითუმო ფასების ბაზად, არ შეიტანება ის დანახარჯები, რაც უნდა ანაზღაურდეს დადგენილი წესით ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრების ხარჯზე“.

2. მე-2 პუნქტში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 ივნისის № 355 დადგენილებისა „პიონერთა ბანაკების მშენებლობის დაფინანსების დამატებითი წყაროების შესახებ“ სიტყვები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 დადგენილებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 4 თებერვლის № 99 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პირველ პუნქტში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ნოემბრის № 704 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 სექტემბრის № 820 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 801 დადგენილების გაუქმების შესახებ“ სიტყვები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 დადგენილების მე-15 პუნქტით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 25 აგვისტოს № 81 დადგენილების მე-18 პუნქტით“.

---

142 საერთო საცხოვრებლების დათმობის წესისა და მათი სარგებლობის პირობების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 292 მუხლის შესაბამისად, დაწესდეს, რომ საწარმოს მუშებსა და მოსამსახურეებს ადგილები საერთო საცხოვრებლებში დაეთმობათ ადმინისტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტის ერთობრივი გადაწყვეტილებით.

2. სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში მარტოხელა მუშებსა და მოსამსახურეებს ადგილებს მისცემენ ორდერებით საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

3. სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში საცხოვრებელი ფართობი არ უნდა იყოს 4,5 კვ. მეტრზე ნაკლები ერთ მცხოვრებზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით, შეუფარდოს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 333 მუხლს „ინსტრუქცია სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვის შესახებ“, რომელიც გამოცემულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 797 დადგენილების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 14 დეკემბერი, № 717.

143 იმ სახლებში ბინის ქირის ზღვრული განაკვეთების დაწესების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 299 მუხლის შესაბამისად, დაწესდეს იმ სახლებში ბინის ქირის ზღვრული განაკვეთი, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, თვეში 16 კაპიკის ოდენობით საცხოვრებელი ფართობის ერთ კვადრატულ მეტრში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 20 დეკემბერი, № 726.

144 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 633 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების მე-9 პუნქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 633 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების მე-9 პუნქტის ქვეპუნქტი „კ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) განიხილავს და დაამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების მიერ გამოშვებულ ნაკეთობათა ტექნიკურ პირობებს, რომლებზედაც არ დაწესდება სახელმწიფო სტანდარტები, სარესპუბლიკათაშორისო და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები, აგრეთვე დაამტკიცებს იმ ნაკეთობათა ტექნიკურ აღწერილობებს, რომლებზედაც არსებობს სახელმწიფო სტანდარტები, სარესპუბლიკათაშორისო ტექნიკური პირობები და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები, ამასთან აუცილებლად შეათანხმებს ტექნიკურ პირობებს და ტექნიკურ აღწერილობებს იმ წესით, რაც დადგენილია მოქმედი ინსტრუქციით „სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური პირობების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“.

2. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების მე-9 პუნქტს დაემატოს ორი ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ლ) საზოგადოებისათვის დაწესებული ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში მისცემს პრემიებს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს მნიშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, გარდა მოქმედი დებულებებისა შრომის ანაზღაურების და პრემიალური სისტემის შესახებ, აგრეთვე ერთდროულ დახმარებას გაუწევს მათ ამ სახსრებიდან და დახარჯავს აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,05 პროცენტისა.

მ) შექმნის სასწავლო საწარმოებში მათი დაგროვების ხარჯზე მუშა-მოსამსახურეთა დაჯილდოებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდს;

დააწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მუშა-მოსამსახურეთა დაჯილდოებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში ანარიცხების ოდენობას, საწარმოების მიერ აღნიშნული ფონდის შექმნის პირობების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ შესრულებულია გეგმის ძირითადი მაჩვენებლები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 20 დეკემბერი, № 728.

145 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საზოგადოებრივი არბიტრებისა და კონსულტანტების შესახებ

იმ მიზნით, რომ მოზიდულ იქნას საზოგადოებრიობა და გაფართოვდეს დემოკრატიული საწყისები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავის განხილვის საქმეში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის წინადადება იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნან არბიტრები საზოგადოებრივ საწყისებზე, აგრეთვე კონსულტანტები ზოგიერთი სამეურნეო დავის განსახილველად.

2. დაწესდეს, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე არბიტრები და კონსულტანტები მოწვეული იქნებიან დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების გამოცდილ სამეურნეო მუშაკთა, საუკეთესო იურისკონსულტთა რიცხვიდან, აგრეთვე პენსიონერ იურისტთა რიცხვიდან, რომლებმაც განაცხადეს სურვილი დახმარება გაუწიონ სახელმწიფო არბიტრაჟს სამეურნეო დავის განხილვაში.

3. დაწესდეს, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე არბიტრები დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის სამეურნეო დავის განხილვის დროს სარგებლობენ იმ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო არბიტრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18

ნოემბრის № 793 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

4. საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე არბიტრები განიხილავენ სამეურნეო დავას დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის დავალებით და ამასთან ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, რომლებიც გამოცემულია დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებებით.

სამეურნეო დავის განხილვა წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისათვის.

5. დაწესდეს, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე არბიტრებისა და კონსულტანტების ჩარიცხვა და თავიანთი მოვალეობისაგან განთავისუფლება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის ბრძანებით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს სისტემატურად გაუწიოს დახმარება საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე არბიტრებს და კონსულტანტებს, რისთვისაც აძლიოს მათ წერილობითი და სიტყვიერი კონსულტაციები, უზრუნველყოს იმისადმი ზედამხედველობა, რომ არბიტრების მიერ სამეურნეო დავის გამო გამოტანილი გადაწყვეტილებანი შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

7. საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე არბიტრების ტექნიკურ მომსახურებას განახორციელებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეებს იმ საქმეთა გამო, რომლებსაც არბიტრები განიხილავენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1965 წ. 20 დეკემბერი, № 729.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

146 განკარგულება

№ 1614 1965 წლის 18 ოქტომბერი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 731

1965 წლის 4 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ.

დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოები, სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ სისტემაზე მათი გადაყვანის დროს სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების II და IV განაყოფებში აღნიშნულ საკითხებზე ხელმძღვანელობენ შესაბამისი პუნქტებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას მოამზადოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 4 ოქტომბრის № 731
დადგენილებით

დებულება

სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სოციალისტური სახელმწიფო საწარმო არის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლი. მისი საქმიანობა ემყარება ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამებას საწარმოს სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან.

2. სოციალისტური სახელმწიფო საწარმო, იყენებს რა მისი ოპერატიული მმართველობისათვის ან სარგებლობისათვის გამოყოფილ სახელმწიფო ქონებას, თავისი კოლექტივის ძალებით, ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობით ახორციელებს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას (პროდუქციის დამზადება, სამუშაოთა შესრულება, სამსახურის გაწევა) სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ასრულებს მოვალეობებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

3. ეს დებულება ვრცელდება სახელმწიფო სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებზე.

სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების მიმართ ამ დებულების გამოყენების თავისებურებებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დააწესებენ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის საწარმოებისათვის.

4. საწარმოს მართვა ხორციელდება ერთმმართველობის საფუძველზე. საწარმოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მუშაკთა მთელი კოლექტივი ფართო მონაწილეობას იღებენ იმ ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმის შესრულებას, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებასა და სრულყოფას, წარმოების მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

5. საწარმო მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში დაიცვას სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა. საწარმოსათვის მინიჭებული უფლებები გამოყენებულ უნდა იქნას მთელი სახალხო მეურნეობისა და საწარმოს მუშაკთა კოლექტივის ინტერესების სასარგებლოდ.

სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საწარმოს უფლებების მტკიცედ დაცვა და იმისადმი კონტროლი, რომ საწარმომ შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საწარმო იქმნება ზემდგომი ორგანოს ბრძანებით (გადაწყვეტილებით), სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

7. საწარმოს აქვს წესდება, რომელსაც ამტკიცებს ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ, ხოლო სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იგი მოქმედებს მოცემული სახის საწარმოს ზოგადი დებულების საფუძველზე.

საწარმოს წესდება უნდა შეიცავდეს:

საწარმოს დასახელებას (ან ნომერს) და მის ადგილსამყოფელს (საფოსტო მისამართს); იმ ორგანოს დასახელებას, რომელსაც საწარმო უშუალოდ ემორჩილება (ზემდგომი ორგანო);

საწარმოს საქმიანობის საგანსა და მიზანს;

მითითებას, რომ საწარმოს აქვს საწესდებო ფონდი;

მითითებას, რომ საწარმო მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და არის იურიდიული პირი;

იმ თანამდებობის პირის დასახელებას, რომელიც სათავეში უდგას საწარმოს (დირექტორი, მმართველი, უფროსი).

თუ საწარმოს შემადგენლობაში შედის რამდენიმე საწარმოო ერთეული (პუნქტი 10), საწარმოს წესდებაში ამის შესახებ სპეციალურად აღინიშნება და ჩამოთვლილი იქნება საწარმოო ერთეულები.

წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნას საწარმოს საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებანიც, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგებიან.

საწარმო მიიღებს მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს და ჩაითვლება იურიდიულ პირად წესდების დამტკიცების დღიდან, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც იგი მოქმედებს მოცემული სახის საწარმოს ზოგადი დებულების საფუძველზე, — შესაბამისი ორგანოს მიერ მისი შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან;

8. საწარმო ახორციელებს მის ოპერატიულ გამგებლობაში არსებული ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლებებს და მისთვის გამოყოფილი მიწის სარგებლობის უფლებას კანონით დაწესებულ ფარგლებში, საწარმოს საქმიანობის მიზნების, გეგმიან დავალებათა და ქონების დანიშნულების შესაბამისად.

9. საწარმო პასუხისმგებელია თავისი ვალდებულებებისათვის მასზე მიმაგრებულ იმ ქონებით, რომელზედაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

საწარმო არ არის პასუხისმგებელი იმ ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის, რომელსაც იგი ემორჩილება, აგრეთვე სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ვალდებულებებისათვის. ის ორგანიზაცია, რომელსაც საწარმო ემორჩილება, არ არის პასუხისმგებელი მისი ვალდებულებებისათვის. ამ წესებიდან გამონაკლისი დაიშვება სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი საწარმოს ვალდებულებებისათვის, ხოლო საწარმო არ არის პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულებებისათვის.

10. კომბინატი, ტრესტი, ფირმა ან სხვა სამეურნეო ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო ერთეულები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს, მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად, როგორც საწარმო.

კომბინატი, ტრესტი ან სხვა სამეურნეო ორგანიზაცია, რომელსაც ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები, მოქმედებს მათ მიმართ როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო.

კომბინატი, ტრესტი, ფირმა ან სხვა სამეურნეო ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ერთეულები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს, და რომელსაც ამასთან ერთად ემორჩილებიან დამოუკიდებელი საწარმოები, განახორციელებს პირველთა მიმართ და უშუალოდ თავისი საწარმოო საქმიანობის მიმართ — საწარმოს უფლება-მოვალეობას ამ დებულების შესაბამისად, ხოლო მისდამი დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო.

II. საწარმოს ქონება და საშუალებანი

11. საწარმოსათვის მიმაგრებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი ქმნიან მის საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა აისახება საწარმოს ბალანსში.

12. საკუთარ საბრუნავ საშუალებათა საერთო ოდენობას (ნორმატივს) საწარმოს დაუწესებს მისივე წარდგენით ზემდგომი ორგანო და იგი შეიძლება შეიცვალოს წლის განმავლობაში მხოლოდ საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით.

ზემდგომი ორგანო საწარმოს ვერ ჩამოართმევს საბრუნავ სახსრებს, რაც მას გამოყოფილი აქვს ნორმატივის ფარგლებში.

ზედმეტი საბრუნავი სახსრები (ნორმატივის გადამეტებით) შეიძლება ჩამოართვას საწარმოს ზემდგომმა ორგანომ მხოლოდ საწარმოს წლიური ანგარიშის მიხედვით გადანაწილების წესით ან საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლის გამო საწარმოო გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით.

13. საწარმო გამოყოფს საამორტიზაციო ანარიცხებს ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტისა და სრული აღდგენისათვის.

კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენენ საწარმოს მიზნობრივ ფონდს, საწარმო მას ხარჯავს ძირითადი ფონდების როგორც კაპიტალური რემონტისათვის, ისე მოდერნიზაციისთვისაც, აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო დეტალებისა და კვანძების შესაძენად და გაცვეთილი დეტალებისა და კვანძების გამოსაცვლელად.

იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ეკონომიურად მიზანშეწონილია, საწარმოს შეუძლია კაპიტალური რემონტის ნაცვლად შეიძინოს ახალი მოწყობილობა კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილ საამორტიზაციო ანარიცხთა ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილ საამორტიზაციო ანარიცხებს უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით საწარმო გადასცემს ამ ანარიცხების საერთო მოცულობის 10 პროცენტამდე ზემდგომ ორგანოს, რათა შეიქმნას რეზერვი იმ საწარმოებისათვის დახმარების გასაწევად, რომელთაც არ გააჩნიათ საკმაო საკუთარი სახსრები კაპიტალური რემონტისათვის.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები მოხმარდება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. საწარმოს მოგება (ხოლო იმ საწარმოსათვის, რომლის გეგმა მოგების მიღებას არ ითვალისწინებს, თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია) განაწილდება მისი შემოსავალ-გასავლის ბალანსის (საფინანსო გეგმის) შესაბამისად და იმ წესით, რასაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაადგენს.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოს კოლექტივის მატერიალური დაინტერესება გეგმის შესრულებით და წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფით, საწარმოს განკარგულებაში გადაირიცხება მოგებიდან (თვითღირებულების შემცირებით მიღწეული ეკონომიიდან) მიღებული სახსრები, რომლებიც შექმნიან საწარმოს ფონდს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და საწარმოს სრულყოფისათვის (საწარმოს ფონდი). მოგების (თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომიის) ანარიცხების ოდენობა, საწარმოს ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი განისაზღვრება წარმოების სხვადასხვა დარგის საწარმოებისათვის საწარმოს ფონდის დებულებებით, რომლებსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საწარმოს ფონდის სახსრები დაიხარჯება ისეთ ღონისძიებათა განსახორციელებლად, როგორიცაა ახალი ტექნიკის ათვისება, მოწყობილობის მოდერნიზაცია, წარმოების გაფართოება, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, საცხოვრებელი ფონდის რემონტი, ინდივიდუალური დაჯილდოება, მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, საწარმოს საექიმო-სანიტარული დაწესებულებებისათვის მედიკამენტების შეძენა, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების შეძენა და ერთდროული დახმარების გაწევა მუშაკებისათვის.

ზემდგომი ორგანოს მიერ საწარმოს ფონდის სახსრების ამოღება და გადანაწილება აკრძალულია.

წარმოების ნარჩენებისაგან დამზადებული ფართო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა რეალიზაციისაგან მიღებული მოგება მთლიანად რჩება საწარმოს განკარგულებაში (ფართო მოხმარების ფონდი) და გამოიყენება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

საწარმოს ფონდის და ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ხარჯზე აშენებული სახლების მთელ საცხოვრებელ ფართობში ჩასახლდება ის პირები, რომელთა სია მტკიცდება საწარმოს ადმინისტრაციის და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვე-

ტილებით, რაც შემდგომ ეცნობება მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს.

15. საწარმო დადგენილი წესით გადარიცხავს სახსრებს მუშაკთა დასაჯილდოებლად ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის და ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელად.

16. საწარმოს შეუძლია იჯარით გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს დროებით გამოუყენებელი შენობები და ნაგებობანი, აგრეთვე საწარმოსათვის გამოყოფილი საწარმოს, სასაწყობო და სხვა სადგომები, რომელთა საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნას მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

საწარმოს აგრეთვე შეუძლია მისცეს იჯარით სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს დროებით გამოუყენებელი მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი. იჯარით გაცემული მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა სარგებლობის ქირა გადახდება მოცემული სახის ქონების საამორტიზაციო ანარიცხთა ოდენობით.

დროებით გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც ტრანსპორტის საწარმოებს ეკუთვნის, გაიცემა იჯარით, ზემდგომი ორგანოს ნებართვით.

17. საწარმო უფასო სარგებლობისათვის დაუთმობს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს საწარმოს ბალანსზე არსებულ და მის მიერ იჯარით აღებულ შენობებს, სადგომებს, ნაგებობებს, ბაღებსა და პარკებს, რომლებიც განკუთვნილია საწარმოს მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისათვის, პიონერთა ბანაკებს, აგრეთვე ტექნიკური პროპაგანდისათვის განკუთვნილ შენობებს, სადგომებს, ნაგებობებს.

აღნიშნული ობიექტების სამეურნეო შენახვა, რემონტი, გათბობა, განათება, დასუფთავება, დაცვა და გაწყობა ხდება საწარმოს ხარჯზე. იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ობიექტებით სარგებლობენ სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებიც, ეს საწარმოები და ორგანიზაციები წილობრივ მონაწილეობას იღებენ აღნიშნულ ხარჯებში.

საწარმო პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს და საწარმოს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფასო სარგებლობისათვის დაუთმობს სადგომებს, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის და მუშა-მოსამსახურეთა კრებების ჩასატარებლად, უზრუნველყოს ამ სადგომების გაწყობას, გათბობას, განათებას, დაცვას და დასუფთავებას, აგრეთვე უფასო სარგებლობისათვის გადასცემს აღნიშნულ ორგანიზაციებს სატრანსპორტო საშუალებებს და კავშირგაბმულობის საშუალებებს.

საწარმო უსასყიდლოდ გადასცემს ბალანსიდან ბალანსზე საწარმოს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სპორტულ ინვენტარს, რომელიც შეძენილია საწარმოს მიერ საწარმოს ფონდის, ფართო მოხმარების ფონდის სახსრების და სოციალისტური შეჯიბრებისათვის პრემიების თანხების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. საწარმო უფასოდ დაუთმობს:

მასთან არსებულ საექიმო-სანიტარულ დაწესებულებას (პუნქტს) — სადგომს, ამასთან უზრუნველყოფს ამ სადგომის გათბობას, განათებას, წყალმომარაგებას, დაცვას, დასუფთავებას და შეკეთებას;

სასადილოს და საზოგადოებრივი კვების სხვა ორგანიზაციას, რომელიც იმყოფება საწარმოს ტერიტორიაზე ან ირიცხება მის ბალანსზე და მომსახურებას უწევს საწარმოს მუშაკთა კოლექტივს, — სადგომს, ამასთან უზრუნველყოფს ამ სადგომის გათბობას, განათებას და წყალმომარაგებას.

19. საწარმოს შეუძლია უსასყიდლოდ დაუთმოს:

მუშა (სოფლის) ახალგაზრდობის სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, რომლებშიაც სწავლობენ საწარმოს მუშაკები, მასთან არსებულ ქარხანა-უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს და ტექნიკუმს, — სადგომები სასწავლო მიზნებისათვის, საჭირო მოწყობილობა, ინსტრუმენტები და მასალები სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტებისათვის, ამასთან უზრუნველყოს სადგომის შეკეთება და სამეურნეო მომსახურება, ელექტროენერგიითა და სათბობით მომარაგების ჩათვლით;

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს — მანქანები, ჩარხები, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის ნიმუშები აგრეთვე გამოფენებზე ჩვენებიდან მოხსნილი ექსპონატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან სასწავლო მიზნებისათვის;

20. საწარმოზე მიმაგრებული შენობები, ნაგებობანი, მოქმედი მოწყობილობა და სხვა ძირითადი საშუალებანი შეიძლება გადაეცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

21. ზედმეტი, საწარმოში გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნედლეული, მასალები და სათბობი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, თესლი და საკვები შეიძლება მიჰყიდოს საწარმომ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს იმ პირობით, თუ ზემდგომი ორგანო უარს განაცხადებს ნამეტის გადანაწილებაზე, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ნამეტის არსებობის შესახებ ცნობის გაგზავნიდან მისგან არ იქნება მიღებული პასუხი ერთი თვე გსანმავლობაში.

საწარმოს მიერ ადგილობრივი დამზადების წესით შეძენილი მასალების, ინსტრუმენტის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციას საწარმო დამოუკიდებლად მოახდენს.

იმ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად შემოსული თანხები, რომლებიც საბრუნავ საშუალებებს მიეკუთვნებიან, რჩება საწარმოს განკარგულებაში, როგორც მისი საბრუნავი სახსრები.

იმ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები, რომლებიც ძირითად საშუალებებს მიეკუთვნებიან, რჩება საწარმოს განკარგულებაში და მოხმარდება კაპიტალურ დაბანდებებს დაწესებული წლიური გეგმის გადამეტებით.

22. საწარმოს მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ სახელმწიფო ქონებას, განახორციელონ შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობის სწორი ექსპლუატაცია, დაიცვან მკაცრი მომჭირნეობა მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში. სახელმწიფო ქონების გაფუჭებაში და სახელმწიფოსათვის მატერიალური ზარალის მიყენებაში დამნაშავე პირები პასუხს აგებენ დადგენილი წესით.

III. საწარმოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

23. საწარმო, ახორციელებს რა გეგმის შესაბამისად საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფს რაც შეიძლება მეტი შედეგების მიღწევას სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ნაკლები დანახარჯებით, მაქსიმალურად იყენებს საწარმოო სიმძლავრეებს, შიგასამეურნეო რეზერვებს, მის სარგებლობაში გადაცემულ მიწას და სხვა ქონებრივ რესურსებს, მტკიცედ იცავს მომჭირნეობის რეჟიმს, ნერგავს მეცნიერების, ტექნიკის უახლეს მიღწევებს, და მოწინავე გამოცდილებას, აგრეთვე ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვის პროგრესულ ნორმებს, ამცირებს პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) თვითღირებულებას და ადიდებს წარმოების რენტაბელობას. საწარმო ყოველნაირად იყენებს ნედლეულისა და მასალების ადგილობრივ წყაროებს, აგრეთვე წარმოების ნარჩენებს.

საწარმოს საამქროების, განყოფილებების და სხვა შინაგანი რგოლების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება, როგორც წესი, შინაგანი სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

24. საწარმო უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოების, მომსახურების) მაღალ ხარისხს, საიმედოობასა და გამძლეობას, სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების, ნიმუშების, კონდიციების, ნორმებისა და წესების შესაბამისად.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების საფუძველზე და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების, მოსახლეობის მოთხოვნების და საბჭოთა საზოგადოების ესთეტიკური მოთხოვნილების გათვალისწინებით, საწარმო განუწყვეტლივ აუმჯობესებს მის მიერ წარმოებულ პროდუქციას (შესრულებულ სამუშაოებს, მომსახურებას).

ამ მიზნით საწარმო მოვალეა შეიტანოს შესაბამისი ორგანოების განსახილველად წინადადებანი მოძველებული მანქანების, მექანიზმებისა და იმ სხვა ნაკეთობათა წარმოებიდან მოხსნისა და გამოცვლის შესახებ, რომლებიც არ შეესაბამებიან მომხმარებელთა მოთხოვნებს, წინადადებანი სახელმწიფო სტანდარტების ტექნიკური პირობებისა და სხვა ნორმების სრულყოფის შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) ხარისხს, ხოლო სახალხო მოხმარების საქონლის მიმართ — მოხსნას წარმოებიდან მოძველებული პროდუქცია და შეცვალოს იგი ახალი პროდუქციით, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

25. საწარმო ახორციელებს მშენებლობას, რეკონსტრუქციას, აგრეთვე ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს დამტკიცებული გეგმების, სატიტულო სიებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, უზრუნველყოფს ახალ საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ათვისებას და შეძენილი მოწყობილობის უსწრაფესად გადაცემას საექსპლუატაციოდ.

26. საწარმო ეწევა მუშაობას გამომგონებლობის დარგში, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროულად განხილვას და დანერგვას, დაწესებული გასამრჯელოს დროზე მიცემას გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის, მხარს უჭერს და წაახალისებს წარმოების ნოვატორებს.

საწარმო უზრუნველყოფს სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საპატენტო მასალების ფართოდ გამოყენებას ახალი ტექნიკის შემუშავებისა და არსებული ტექნიკის სრულყოფის დროს, აგრეთვე საბჭოთა გამოგონებების პრიორიტეტის დაცვას, რისთვისაც შეიტანს განაცხადებს სსრ კავშირში საავტორო მოწმობების გაცემის შესახებ და საჭირო შემთხვევებში მიიღებს დადგენილი წესით პატენტებს საზღვარგარეთ.

27. საწარმო ახორციელებს სარკინიგზო, წყალთა, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენებას, სისტემატურად აუმჯობესებს დატვირთვა-გადმოტვირთვის და სატრანსპორტო სამუშაოთა ორგანიზაციას, ატარებს ამ სამუშაოთა მექანიზაციას და ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენის შემცირებას.

28. საწარმო ახორციელებს ოპერატიულ საქმიანობას თავისი წარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით საწარმო, დაწესებული ნორმატივების თანახმად, დროზე წარადგენს დასაბუთებულ განაცხადებს გეგმიანი წესით გასანაწილებელ მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც საჭიროა ძირითადი პროგრამის შესასრულებლად, საცდელი სამუშაოების განსახორციელებლად, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმის შესასრულებლად და სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის, ეწევა ფონდებით გამოყოფილი მატერიალური რესურსების რეალიზაციას, აგრეთვე დამოუკიდებლად იძენს საწარმოსათვის საჭირო სხვა მატერიალურ რესურსებს.

საწარმოს უნდა ჰქონდეს, დაწესებული ნორმატივების შესაბამისად, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სხვა რესურსების მარაგი, რომელიც უზრუნველყოფს შეუფერხებელ და რიტმულ მუშაობას, ამასთან არ უნდა იქნას დაშვებული ზეგეგმითი მარაგის შექმნა.

29. დამტკიცებული გეგმებისა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად, საწარმო ახორციელებს პროდუქციის წარმოებისა და მიწოდებას, იცავს მის ნომენკლატურას, ასორტიმენტს, სათანადო ხარისხსა და კომპლექტურობას, ამასთან უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას პირველ რიგში საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის.

საწარმოს მიერ პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებათა შეუსრულებლობა წარმოადგენს სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწვევს დამნაშავე თანამდებობის პირთა მიცემას პასუხისგებაში, დადგენილი წესით.

საწარმოს შეუძლია დაამზადოს პროდუქცია დაწესებული გეგმის გადამეტებით მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება ამ პროდუქციის გასაღება.

30. საწარმომ ყოველნაირად უნდა გააფართოოს და განამტკიცოს პირდაპირი სამეურნეო ურთიერთობა მომხმარებელ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ უკეთ უზრუნველყონ მომხმარებლები სათანადო ხარისხის და მათთვის საჭირო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციით.

მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის მიწოდებათა ხაზით შექმნილი პირდაპირი ურთიერთობის შეცვლა დაიშვება საჭირო შემთხვევებში, რომლის დროსაც დაცულ უნდა იქნას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი.

სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საწარმო აწყობს ამ საქონლის წარმოებას სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებისას და მათთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

31. საწარმო განაგებს თავის საფინანსო რესურსებს, უზრუნველყოფს მაქსიმალურ მომჭირნეობას სახსრების ხარჯვაში და მათ მიზნობრივად გამოყენებას, აგრეთვე ანგარიშის დროულად გასწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკის დაწესებულებებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

32. საწარმო ეწევა საბუღალტრო ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას, ნერგავს აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოების მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს, ადგენს ანგარიშს დამტკიცებული ფორმების მიხედვით და დაწესებულ ვადებში უდგენს მას შესაბამის ორგანოებს.

33. საწარმო განუწყვეტლივ აუმჯობესებს თავის სტრუქტურას, ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს წარმოების მართვის ხარჯები მმართველობის ყველაზე პროგრესული სქემების გამოყენების, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის, საინჟინერო-ტექნიკურ და სამმართველო სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე.

34. საწარმო ახორციელებს და განუწყვეტლივ აუმჯობესებს შრომის ორგანიზაციასა და ნორმირებას, ქმნის პირობებს მაღალმწარმოებლური მუშაობისათვის, აღწევს შრომის ნაყოფიერების მუდმივ ზრდას, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების, უსაფრთხობის ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესების დაცვას, ახორციელებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას.

საწარმოს კოლექტივის თვითეული წევრი მოვალეა მტკიცედ დაიცვას შინაგანი შრომითი განაწესი.

35. საწარმო ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაკთა მატერიალური დაინტერესება როგორც მათი პირადი შრომის შედეგებით, ისე საწარმოს მუშაობის საერთო შედეგებითაც. უზრუნველყოფს სწორ თანაფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის, ხელფასის ფონდის მომჭირნეობით და რაციონალურად ხარჯვას და ანგარიშის დროულად გასწორებას მუშა-მოსამსახურეებისათვის.

36. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო უზრუნველყოფს უშუალოდ წარმოებაში მუშათა ახალი კადრების მომზადებას, ახალი პროფესიების სწავლებას მუშებისათვის და მუშაკთა საწარმოო კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლებას. ამ მიზნით, ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების გარდა, საწარმოში ეწყობა საწარმოო-ტექნიკური კურსები, შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელი სკოლები.

იმ მუშაკებს, რომლებიც სასწავლებლებში სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, საწარმო უქმნის საჭირო პირობებს, რათა შეათავსონ სწავლება მუშაობასთან, და ანიჭებს მათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს.

37. საწარმო ყოველგვარ დახმარებას უწევს მუშა (სოფლის) ახალგაზრდობის სკოლას, საღამოს (ცვლის) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, რომლებშიაც სწავლობენ საწარმოს მუშაკები; უზრუნველყოფს საჭირო პირობებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა, უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უთმობს უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს სამუშაო ადგილებსა და თანამდებობებს, რათა დაიკავონ ისინი სტუდენტებმა (მოსწავლეებმა).

38. საწარმო უზრუნველყოფს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას, აწყობს საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას და ხელს უწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას.

39. საწარმო მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის წახალისდება მოქმედი კანონმდებლობისა და სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

მუშაობაში მიღწეული წარმატებებისა და ინიციატივის გამოჩენისათვის საწარმოს მუშა-მოსამსახურეები წახალისებული იქნებიან საპატიო სიგელებით და პრემიებით; მათ შეიძლება მიენიჭოთ საპატიო წოდება.

საწარმოს მუშა-მოსამსახურეები სამეურნეო მშენებლობის დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინო ნოვატორული საქმიანობისა და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის წარდგენილი იქნებიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად და სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად დადგენილი წესით.

40. საწარმოს საქმიანობამ არ უნდა დაარღვიოს სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ნორმალური პირობები და არ უნდა გააუარესოს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო ახორციელებს ყოველგვარ საჭირო ღონისძიებებს, [illegible] მიზანია ჰავის, ნიადაგისა და წყალსატევების დაცვა სამრეწველო და სამეურნეო ნაყარ-ნუყარით, ჩამდინარე წყლებითა და წარმოების ნარჩენებით გაბინძურებისაგან, აგრეთვე ბრძოლა საერთოდ ხმაურისა და რადიოხმაურის წინააღმდეგ.

IV. საწარმოს უფლებანი

41. საწარმოსათვის მინიჭებულ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია მის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობასთან, ახორციელებს საწარმოს დირექტორი (მმართველი, უფროსი) და მოვალეობათა დაწესებული განაწილების მიხედვით — სხვა თანამდებობის პირები, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — ეს უფლება ხორციელდება ერთობლივად, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით ან მისი მონაწილეობით.

42. ცალკეულ უმნიშვნელოვანეს საწარმოებს იმ წესით, რასაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს, შეიძლება მისცენ სამეურნეო ხელმძღვანელობის მათმა ზემდგომმა ორგანოებმა დამატებითი უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვთ ამ ორგანოებს.

უფლებები დაგეგმვის დარგში

43. საწარმო, საკონტროლო ციფრების საფუძველზე, მუშა-მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობით, სახალხო მეურნეობის მოთხოვნების მომხმარებლებთან, გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებთან შექმნილი სამეურნეო ურთიერთობის და ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით შეიმუშავებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს, დაწესებული მაჩვენებლების შესაბამისად.

44. ზემდგომი ორგანო განიხილავს საწარმოს მონაწილეობით და დაუმტკიცებს მას პერსპექტიულ და წლიურ გეგმიან დავალებებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით.

ყველა გეგმიან დავალებას საწარმოს აცნობებს მხოლოდ ზემდგომი ორგანო.

45. საწარმო მისთვის დაწესებული მაჩვენებლებისა და დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად შეიმუშავებს გაშლილ წლიურ ტექნიკურ-სამრეწველო-საფინანსო გეგმას (სამრეწველო-საფინანსო გეგმა, სამშენებლო-საფინანსო გეგმა და ა. შ.), საწარმოო სამეურნეო საქმიანობის კვარტალურ და თვიურ გეგმებს, რომლებსაც დაამტკიცებს საწარმოს დირექტორი.

საწარმო დამოუკიდებლად დააწესებს საამქროების, განყოფილებების, დარგების, უბნების, წარმოებებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფებისათვის გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფენ მისთვის დაწესებულ გეგმიან დავალებათა შესრულების მეტი ეკონომიური ეფექტიანობით.

46. საწარმოსათვის დაწესებული გეგმიანი დავალებანი უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენებას. ზემდგომი ორგანო უზრუნველყოფს საწარმოს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსებით და ხელფასის ფონდით, რომლებიც საჭიროა გეგმიანი დავალების შესასრულებლად.

47. საწარმოსათვის დამტკიცებულ გეგმიან დავალებათა შეცვლა შეუძლია ზემდგომ ორგანოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამასთან ეს საკითხები წინასწარ უნდა იქნას განხილული საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად იმ წესითა და ვადებში, რასაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომმა ორგანომ საწარმოს შეუცვალა გეგმიანი დავალებანი, იმავდროულად უნდა იქნას შეტანილი საჭირო ცვლილებანი ყველა ურთიერთდაკავშირებულ საგეგმო მაჩვენებლებში, აგრეთვე ბიუჯეტსა და საწარმოს შორის ანგარიშსწორებაში.

48. საწარმოს უფლება აქვს მიიღოს სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შეკვეთები, შეასრულოს სამუშაოები და დაამზადოს პროდუქცია გეგმის გადამეტებით შემკვეთის ნედლეულისა და მასალებისაგან ან თავისი მასალებისა და წარმოების ნარჩენებისაგან, თუ ზიანს არ მიაყენებს მისთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმის და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

უფლებანი კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დარგში

49. საწარმო ახორციელებს ძირითადი ფონდების კაპიტალურ მშენებლობას და რეკონსტრუქციას საიჯარო ხელშეკრულებებით, რომლებიც დაიდება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებთან. იმ შემთხვევებში, როდესაც კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა წარმოება საიჯარო წესით ეკონომიურად მიზანშეწონილი არ არის, ასეთი სამუშაოები შეიძლება შესრულდეს სამეურნეო წესით.

50. საწარმო საპროექტო ორგანიზაციებთან დადებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების შესახებ. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცება ხდება იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაადგენს.

საწარმოს დირექტორი დაამტკიცებს:

სატიტულო სიებს ყველა ობიექტის მშენებლობისა, რომელიც ხორციელდება საწარმოს ფონდის და ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ხარჯზე;

სატიტულო სიებს საცხოვრებელი სახლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობისა, რომელიც ხორციელდება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, გარდა კლუბების (ქალაქებში) კულტურისა და სპორტის სასახლეების, სტადიონების და საცურაო აუზების მშენებლობის სატიტულო სიებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოთა სატიტულო სიებს;

შიგასამშენებლო სატიტულო სიებს მოიჯარესთან შეთანხმებით.

საწარმოს ფონდის და ფართო მოხმარების ფონდის სახსრების ხარჯზე ობიექტების მშენებლობის სატიტულო სიებს, აგრეთვე შრომის, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოთა სატიტულო სიებს დაამტკიცებს საწარმოს დირექტორი პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

51. საწარმოს უფლება აქვს გადასცეს ხელშეკრულებებით მოიჯარე ორგანიზაციებს, მათი თანხმობით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება და ამასთან დაკავშირებით — შრომის სათანადო ლიმიტები, ფონდები და მასალები, რაც შემდგომ უნდა ეცნობოს ზემდგომ ორგანოს.

52. კაპიტალური რემონტის გეგმებს და შესაბამის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს დაამტკიცებს საწარმოს დირექტორი. ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის სამუშაოები განხორციელდება როგორც სამეურნეო, ისე საიჯარო წესით.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ მოიჯარე ორგანიზაციას გადასცა კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მოცულობა საიჯარო წესით შესასრულებლად, საწარმოს უფლება აქვს გადასცეს მოიჯარე ორგანიზაციას შრომის სათანადო ლიმიტებიც, ფონდები და მასალები, რაც შემდგომ უნდა აცნობოს ზემდგომ ორგანოს.

53. საწარმოს უფლება აქვს დაამტკიცოს მოიჯარე ორგანიზაციასთან შეთანხმებით იმ სამუშაოთა ერთეული ფასდება, რომელთა საჭიროება წამოიჭრება მშენებლობის პროცესში, თუ ამ სამუშაოთა ფასდება არ არის დამტკიცებული დადგენილი წესით.

54. საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს თავისი სპეციალისტები საამქროების, უბნების, განყოფილებების, ფერმების რეკონსტრუქციის პროექტების შესადგენად ან ტექნოლოგიური პროცესების შესაცვლელად და ტიპობრივი პროექტების მორგების სამუშაოთა შესასრულებლად იმ ანგარიშით, რომ ამ სპეციალისტთა შრომა ანაზღაურებულ იქნას საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის დადგენილი წესით.

55. საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის იმ სახსრების ნაწილი, რომელიც მას ცენტრალიზებული წესით გამოეყოფა საბინაო მშენებლობისათვის. ეს სახსრები გამოყენებული იქნება იმ გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც საწარმოს დირექტორმა მიიღო პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად.

56. საწარმოს უფლება აქვს გააერთიანოს სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან საწარმოს ფონდის სახსრები და მის განკარგულებაში არსებული სხვა სპეციალური სახსრები საცხოვრებელი სახლების, სამედიცინო და ბავშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერთა ბანაკების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების ერთობლივი (წილობრივი მონაწილეობის წესით) მშენებლობისათვის.

უფლებები წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის დარგში

57. საწარმო დაამტკიცებს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, რამდენადაც ისინი არ დაუწესებია იმ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას წარმოების მოცემულ დარგში.

საჭირო შემთხვევებში საწარმოს უფლება აქვს შეცვალოს იმ შესაბამისი ორგანოების მიერ დაწესებული ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ახორციელებენ ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას წარმოების მოცემულ დარგში, თუ ეს ცვლილებანი აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს (აუმჯობესებენ საიმედოობას, ხანგრძლიობას) ან პროდუქციის ხარისხის გაუარესების და სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევის გარეშე ამცირებენ მის თვითღირებულებას ან იძლევიან სხვა დადებით ეფექტს, გარდა ტექნოლოგიური პროცესებისა, რომელთა შეცვლა მათი დამდგენი ორგანოების თანხმობის გარეშე აკრძალულია. ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ ორგანოს, რომელმაც იგი დაამტკიცა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმო დააწესებს მეურნეობის და მისი ცალკეული დარგების გაძღოლის სისტემებს, სახნავი მიწის გამოყენების სტრუქტურას, თესვის ვადებს და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა ტექნოლოგიურ პროცესებს.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების მუშაობის ტექნოლოგიური პროცესების დამტკიცებისა და შეცვლის წესს დაადგენს შესაბამისი სამინისტრო (უწყება).

58. საწარმო დაამტკიცებს შემკვეთებთან შეთანხმებით პროდუქციის იმ ცალკეულ სახეობათა ტექნიკურ პირობებს, რომლებზედაც არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტები და სათანადო ორგანოების მიერ არ არის დაწესებული ტექნიკური პირობები, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა მაღალ ტექნიკურ დონეზე.

საწარმოს უფლება აქვს შემკვეთთან შეთანხმებით გამოუშვას სახელმწიფო სტანდარტების და ტექნიკური პირობების მოთხოვნებთან შედარებით გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქცია. ამასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები საწარმოს აუნაზღაურდება დადგენილი წესით, გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციის ეკონომიური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

59. საწარმო დაამტკიცებს ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, თესლის, საკვების, სასუქების ხარჯვის ნორმებს, თუ ამ ნორმების დამტკიცება არ შედის ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში.

60. საწარმოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს დადოს სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და უმაღლეს სასწავლებლებთან ხელშეკრულებანი ახალი ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის შემუშავების, საწარმოს, მისი საამქროების, უბნების, განყოფილებებისა და ფერმების რეკონსტრუქციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროექტების შემუშავების შესახებ.

აღნიშნულ სამუშაოთა ხარჯები გაწეული იქნება საწარმოს სახსრებით, აგრეთვე ბანკის კრედიტის ხარჯზე.

უფლებები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების დარგში

61. საწარმო შეიძენს მისი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო მოწყობილობას, ნედლეულს, მასალებს, სათბობსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს მიწოდების ხელშეკრულებებით, რომლებიც დაიდება პროდუქციის გეგმიანი განაწილების აქტების (განრიგების, საფონდო უწყებებისა და სხვ.) საფუძველზე.

აღნიშნული მატერიალური ფასეულობანი შეიძლება შეძენილ იქნას აგრეთვე შესასრულებლად მიღებული განრიგების (ან მათი შემცვლელი დოკუმენტების) საფუძველზე, რომლებიც შეიცავენ მიწოდების განსახორციელებლად საჭიროა ყველა მონაცემს, თუ საჭირო არ არის რაიმე დამატებითი პირობების შეთანხმება.

საწარმოს შეუძლია შეიძინოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საგნები სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან მათთან ისეთ პროდუქციაზე დადებული ხელშეკრულებებით, რომლის რეალიზაცია უგანრიგებოდ წარმოებს, აგრეთვე წვრილსაბითუმო, სპეციალიზებულ ბაზებსა და საცალო მაღაზიებში შესყიდვის გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

62. საწარმოს უფლება აქვს მიწოდების ხელშეკრულების დადების დროს უარი განაცხადოს მისთვის გამოყოფილ ზედმეტ ან არასაჭირო პროდუქციაზე, რაც უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ფონდმქონეს და განრიგის მიმცემ ორგანოს განრიგის მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

საწარმოს აგრეთვე უფლება აქვს უარი განაცხადოს მიმწოდებელთან შეთანხმებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მიღებაზე, თუ შეიცვალა მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე და ხუთი დღის ვადაში აცნობოს ეს ფონდმქონეს და განრიგის გამცემ ორგანოს.

63. საწარმოს უფლება აქვს გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფონდები ან მისცეს მათ თავისი რესურსებიდან მასალები და მაკომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით იმისათვის, რომ მათ დაამზადონ ხელშეკრულებების მიხედვით მოცემული საწარმოსათვის საჭირო პროდუქცია.

64. საწარმოს უფლება აქვს დაავალოს ხელშეკრულებებით სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მასალების, ნედლეულისა და მოწყობილობის ფონდების რეალიზაცია იმ ანგარიშით, რომ ამასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულ იქნას დაწესებული ნორმების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. საწარმოს შეუძლია დადოს ხელშეკრულებანი მისთვის ისეთი მოწყობილობის, მანქანებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მიწოდების შესახებ, რომლებიც უნდა მიეკუთვნონ საწარმოს ძირითად ფონდებს, იმ სახსრების ფარგლებში, რაც მას ამ მიზნებისათვის მოეპოვება, და ბანკის კრედიტის ხარჯზე.

საწარმოს უფლება აქვს შეიძინოს სპეციალური მოწყობილობა, ხელსაწყოები და მასალები სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესასრულებლად ამ სამუშაოთა წარმოებისათვის გამოყოფილ ასიგნობათა ფარგლებში.

66. საწარმო ახორციელებს პროდუქციის გასაღებას მიწოდების ხელშეკრულებებით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილია სხვა წესი.

ხელშეკრულებანი იმ პროდუქციის მიწოდების შესახებ, რომელსაც ზემდგომი ორგანო ან გამსაღებელი ორგანიზაცია ანაწილებს, დაიდება საგანმკარგულებლო აქტების (განრიგების) საფუძველზე, რომლებსაც ეს ორგანო ან ორგანიზაცია გასცემს.

ხელშეკრულებებს ისეთი პროდუქციის რეალიზაციის შესახებ, რომელიც აღნიშნული წესით არ ნაწილდება, საწარმო დადებს დამოუკიდებლად, შესაბამის მყიდველ ორგანიზაციასთან (შემკვეთთან) შეთანხმებით.

67. საწარმოს უფლება აქვს მყიდველთან (შემკვეთთან) შეთანხმებით შეცვალოს საჭირო შემთხვევებში ხელშეკრულებით დაწესებული ასორტიმენტი, მიწოდების ვადები და სხვა პირობები და აწარმოოს პროდუქციის ვადამდე მიწოდება წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე ან იმ პროდუქციის ხარჯზე, რომელიც სხვა მომხმარებლებს არ გაუტანიათ.

პროდუქციის იმ ასორტიმენტის შეცვლას, რაც დაწესებულია გეგმიანი დავალებით, საწარმო აცნობებს შესაბამის ორგანოებს.

68. საწარმოს უფლება აქვს მიჰყიდოს უფონდებოდ სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა ჩათვლით, ისეთი პროდუქცია, რომელიც განრიგებით არ იყიდება.

69. საწარმოს უფლება აქვს მისცეს ფასგადახდით სამეცნიერო დაწესებულებებს ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მზა ნაკეთობანი, რომლებზედაც მოთხოვნილება წარმოიშვება სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

70. საწარმოს უფლება აქვს მისცეს დადგენილი წესით სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო საწარმოო ნარჩენები მოცემული საწარმოს მიერ მათი ჩაბარებისა და გადამუშავების გეგმის გადამეტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებანი ფინანსების დარგში

71. საწარმო განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს ელემენტების მიხედვით ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებული საერთო ნორმატივის ფარგლებში, გეგმიან დავალებათა საფუძველზე და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისა და მარაგის ნორმების შესაბამისად.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები, რომლებსაც საწარმო შეიმუშავებს, ხელს უნდა უწყობდნენ მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურად, ეფექტიანად გამოყენებას და საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის დაჩქარებას.

72. საწარმოს შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით და იგი პასუხისმგებელია მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დროზე დაბრუნებისათვის.

73. საწარმო შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებში სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს და იმ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯების ანაზღაურების გაანგარიშებებს, რომელთა მიზანია:

ახალი ტექნიკის, ახალი მასალების შექმნა და დანერგვა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მოწყობილობის მოდერნიზაცია, წარმოების ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის გაუმჯობესება;

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ორგანიზაცია და გაფართოება, მისი ხარისხის გაუმჯობესება.

აღნიშნულ გაანგარიშებებს დაამტკიცებს საწარმოს დირექტორი.

74. საწარმო დააწესებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქციის ცალკეულ სახეობათა (სამუშაოთა, მომსახურების) ფასებსა და ტარიფებს, რომლებსაც არ ამტკიცებენ ზემდგომი ორგანოები. პროდუქციის ფასები და სამუშაოთა და მომსახურების საზღაურის ოდენობა (გარდა იმ პროდუქციისა, რომელიც განკუთვნილია საწარმოს შინაგანი საჭიროებისათვის) დაწესდება შემკვეთ საწარმოსთან შეთანხმებით.

75. საწარმოს უფლება აქვს ჩამოწეროს ბალანსიდან მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტი, როდესაც ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან არ არის ეკონომიურად მიზანშეწონილი და არ შეიძლება მისი რეალიზაცია.

საწარმოს აგრეთვე უფლება აქვს ჩამოწეროს ბალანსიდან ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული, აგრეთვე ძველი შენობები და ნაგებობანი.

76. საწარმოს უფლება აქვს, მას შემდეგ, რაც აცნობებს ზემდგომ ორგანოს, ჩამოწეროს ზარალად:

დებიტორული დავალიანება, რომლის მიმართ გასულია სასარჩელო ხანდაზმულობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისჯილი ვალები, რომელთა აღსრულებითი დოკუმენტები დაბრუნებულია სასამართლოს აქტით იმის გამო, რომ მოპასუხე ვალაუვალია და შეუძლებელია გადახდევინების მიმართვა მის ქონებაზე;

სხვა ვალები, რომელთა მიღება საწარმოს მიერ უიმედოდ არის ცნობილი.

77. საწარმოს უფლება აქვს ჩამოწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკე შემთხვევაში თანხა 100 მანეთის ფარგლებში, ამასთან (უნდა აცნობოს ზემდგომ ორგანოს);

ფასეულობათა დანაკლისი კლების ნორმების გადამეტებით, აგრეთვე საქონლის, მასალებისა და პროდუქციის გაფუჭებისაგან მიღებული ზარალი იმ შემთხვევებში, როდესაც არ არიან აღმოჩენილი კონკრეტული დამნაშავენი;

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის გამო შექმნილი ვალები, რომელთა გადახდევინებაზე სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო.

78. საწარმოს ბალანსიდან ამ დებულების 76-ე და 77-ე პუნქტებით გათვალისწინებული ზარალის ჩამოწერა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით გულმოდგინედ იქნება შემოწმებული ზარალის მიზეზები, გამოვლინებული იქნებიან ამ საქმეში დამნაშავე პირები და მიღებული იქნება საჭირო ზომები, რათა გადახდეთ მათ ზარალის თანხები.

79. საწარმოო შეიმუშავებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, სახსრების ყოველგვარი მომჭირნეობის გათვალისწინებით, ხელფასის საერთო ფონდისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებისათვის გაღებულ ასიგნობათა ფარგლებში, რომლებსაც საწარმოს დაუმტკიცებს ზემდგომი ორგანო.

ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს და შეცვლის საწარმოს დირექტორი.

80. საწარმოს შეუძლია გამოყოს ცალკეულ ბალანსზე თავისი წარმოებანი და მეურნეობანი; იმ წარმოებათა და მეურნეობათა საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს. აღნიშნულ წარმოებათა და მეურნეობათა ბალანსების აქტივები და პასივები შეიტანება საწარმოს საერთო ბალანსში.

უფლებანი შრომისა და ხელფასის დარგში

81. საწარმოს უფლება ენიჭება:

ა) დააწესოს შრომის ანაზღაურების სანარდო, დროებლივი ან სააკორდო ანაზღაურება მუშათა ცალკეული ჯგუფებისათვის;

ბ) განსაზღვროს მუშათა იმ პროფესიების ნუსხა, რომლებისთვისაც შრომის ანაზღაურებისას გამოყენებული იქნება მენარდეთა სატარიფო განაკვეთები და თვიური განაკვეთები დროებლივ მუშათა სატარიფო განაკვეთების ნაცვლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განსაზღვროს მუშათა პროფესიებისა და სამუშაოთა ნუსხები, რომლებიც ანაზღაურდება იმ მუშებისათვის დაწესებული სატარიფო განაკვეთებით, რომლებიც დასაქმებული არიან ცხელ და მძიმე სამუშაოებზე, შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე, შრომის განსაკუთრებით მძიმე და მავნეპირობებიან სამუშაოებზე, შესაბამისად ამ პროფესიების ტიპობრივი ნუსხებისა და სამუშაოებისა წარმოების დარგების მიხედვით;

დ) დააწესოს მუშათა დაჯილდოების მაჩვენებლები და პირობები ტიპობრივ დებულებათა საფუძველზე;

ე) დააწესოს სამუშაოთა თანრიგები და მიაკუთვნოს თანრიგები მუშებს მოქმედი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად. ახალი პროფესიების მუშათა ტარიფიკაცია წარმოებს ანალოგიურ სამუშაოთა დახასიათებების შესაბამისად, რომლებსაც ცნობარები შეიცავენ, და უნდა ეცნობოს ზემდგომ ორგანოს;

ვ) დააწესოს ცალკეული საწარმოო საამქროების, უბნებისა და დარგების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის საწარმოს შესაბამის ქვეგანაყოფთა წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით, დაჯილდოების მაჩვენებლები, პირობები და ოდენობა, ამასთან იხელმძღვანელოს დაჯილდოების იმ პირობებით და პრემიების ოდენობით, რომლებიც დაწესებულია ტიპობრივი დებულებებით;

ზ) მიაკუთვნოს საწარმოს საამქროები, უბნები, განყოფილებები, ფერმები და სხვა შინაგანი რგოლები ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესაბამის ჯგუფებს, აგრეთვე, გადაიყვანოს ისინი ერთი ჯგუფიდან მეორეში წარმოების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ამასთან უნდა იხელმძღვანელოს დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით;

თ) დაუწესოს არანორმირებული სამუშაო დღის მქონე მუშაკებს დამატებითი შვებულების ხანგრძლიობა შრომის კანონმდებლობის და არანორმირებული სამუშაო დღის მქონე მუშაკების თანამდებობათა იმ ნუსხის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი ორგანოს მიერ;

ი) შემოიღოს იმ ცალკეული წარმოებების, საამქროების, უბნების, განყოფილებების მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა, სადაც შეუძლებელია ნორმალური ხანგრძლიობის სამუშაო დღის დაწესება; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დაძაბული სამუშაოების პერიოდში (თესვა, ნათესების მოვლა, საკვების დამზადება, მოსავლის აღება, მზრალად ხვნა) შეცვალოს სამუშაო დღის ხანგრძლიობა საღრიცხვო პერიოდის ნორმალური სამუშაო დროის ფარგლებში იმ ანგარიშით, რომ შრომა ანაზღაურდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოსათვის არსებული ნორმებისა და ფასდების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამუშაო დროის შეჯამების წესს დაადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

კ) დადგენილი წესით დაამტკიცოს ახალი და გადასინჯოს გამომუშავებისა და მომსახურების მოქმედი ნორმები;

ლ) დაამტკიცოს იმ წარმოებათა ნუსხა, რომლებშიაც სამუშაოს ხასიათის მიხედვით არ შეიძლება დაწესდეს მუშაკებისათვის შემცირებული სამუშაო დღე დასვენების და უქმეების წინა დღეებში, არამედ უნდა მიეცეთ დამატებითი დასვენების დღე მუშაობის ნამეტი საათების დაგროვების მიხედვით;

მ) ნება დართოს მიზანშეწონილობის შემთხვევაში მუშათა პროფესიების შეთავსება ისე, რომ შრომა ანაზღაურდეს დადგენილი წესით.

ამ პუნქტის „ა“, „მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს საწარმოს დირექტორი მოცემული საწარმოს ხელფასის ფონდის ფარგლებში, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით;

ნ) დააწესოს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხები იმ დარგობრივი ნორმების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცდება იმ წესით, რასაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს, და, რომლებიც უფლებას ანიჭებენ მუშა-მოსამსახურეებს უფასოდ მიიღონ სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და დამცველი მოწყობილობანი, აგრეთვე იმ სამუშაოთა და პროფესიათა ნუსხა, რომლებიც უფლებას ანიჭებენ მუშა-მოსამსახურეებს მიიღონ რძე შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით და მიიღონ სპეცსაპონი.

82. საწარმო შეიმუშავებს საწარმოს სტრუქტურასა და შტატებს იმ ტიპობრივი სტრუქტურებისა და შტატების შესაბამისად, რომლებსაც ზემდგომი ორგანო ამტკიცებს დადგენილი წესით; საწარმოს სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს დირექტორი.

საწარმოს დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ამტკიცებს და ცვლის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის განაკვეთებს თანამდებობრივი განაკვეთების სქემის შესაბამისად, ხელფასის ფონდის, აგრეთვე საშტატო განრიგით საშუალო ხელფასის ფარგლებში.

საწარმოს დირექტორების მიერ დამტკიცებული შტატები, განაკვეთები, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები თავისუფალია საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციისაგან.

83. საწარმოს უფლება აქვს დაუწესოს მაღალკვალიფიციურ ოსტატებს და სხვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ხელფასის დანამატები თანამდებობრივი განაკვეთის 30 პროცენტამდე ხელფასის დაგეგმილი ფონდის ფარგლებში, ამასთან გამოიყენოს ამ მიზნებისათვის, სამეურნეო ხელმძღვანელობის ზემდგომი ორგანოს ნებართვით საწარმოს ხელფასის დაგეგმილი ფონდის 0,3 პროცენტამდე. აღნიშნული დანამატები საშტატო განრიგით საშუალო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება.

84. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს წინა კვარტალებსა და თვეებში მიღებული ეკონომია ხელფასის ფონდისა, რომელიც გადაანგარიშებულია გეგმის შესრულების პროცენტის შესაბამისად, ხელფასისა და პრემიების გასაცემად იმავე წლის შემდგომ კვარტალებსა და თვეებში.

ხელფასის ფონდის გადახარჯვა უნდა ანაზღაურდეს შემდგომ თვეებში, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც ხელფასის ფონდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახარჯვა დაუშვეს, ჩამოერთმევათ პერმია მის ანაზღაურებამდე. ხელფასის ფონდის გადახარჯვის თანხის შეუვსებელი ნაწილი, შეიძლება ირიცხებოდეს საწარმოზე არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო ივლისის თვის 1 რიცხვისა.

თუ საწარმო დადგენილ ვადაში (ექვს თვეში) ან ვადამდე აანაზღაურებს მთლიანად ხელფასის ფონდის გადახარჯვას, მაშინ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც გადახარჯვა დაუშვეს, მიეცემა 50 პროცენტი იმ პრემიისა, რომელიც მათ ერგებოდათ, მაგრამ არ ყოფილა მიცემული გასულ პერიოდში ხელფასის ფონდის გადახარჯვის გამო.

ასეთივე წესით ხდება პრემიების გაცემა მაშინაც, როდესაც ხელფასის ფონდი გადახარჯულია საწარმოს საამქროებში, განყოფილებებში, ფერმებსა და სამსახურებში. ამასთან ხელფასის ფონდის გადახარჯვა აღირიცხება მხოლოდ საწარმოს შესაბამისი სტრუქტურული ქვეგანაყოფის მიხედვით.

როდესაც მთლიანად საწარმოში ადგილი არა აქვს ხელფასის ფონდის გადახარჯვას, საწარმოს შეუძლია ჩამოწეროს ხელფასის ფონდის გასული პერიოდის აუნაზღაურებელი გადახარჯვა, რომელიც აქვთ საწარმოს ცალკეულ საამქროებს, უბნებსა და სხვა რგოლებს.

85. ხელფასის დამტკიცებული ფონდის გადამეტებით საწარმოს უფლება აქვს დააწესოს იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის ფონდი, რომლებიც დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ხორციელდება (საწარმოს ფონდი, ფართო მოხმარების ფონდი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის სესხი, სოციალისტური შეჯიბრების პრემიები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროები), ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებული მაჩვენებლების საფუძველზე.

86. საწარმოს შეუძლია განსაკუთრებულ შემთხვევებში აძლიოს ცალკეულ მუშაკებს გეგმისგარეშე ავანსი ხელფასის ანგარიშში, არა უმეტეს თვიური ხელფასის ოდენობისა.

87. საწარმოს შეუძლია აძლიოს საჭირო შემთხვევებში მუშაკებს მათი თხოვნით მოკლევადიანი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად.

88. საწარმოს უფლება აქვს გაგზავნოს მოწინავე მუშები და მოსამსახურეები მათი სურვილისამებრ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად და აძლიოს მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადიდებული სტიპენდიები, იმ პირობით, თუ ეს მუშაკები იკისრებენ ვალდებულებას სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდნენ იმ საწარმოში, რომელმაც ისინი სასწავლებელში გაგზავნა. იმ პირთა კანდიდატურები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში იგზავნებიან სასწავლებლად და რომლებსაც ენიშნებათ გადიდებული სტიპენდიები, წამოყენებული იქნებიან საწარმოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. საწარმოს მართვა

89. საწარმოს სათავეში უდგას დირექტორი (უფროსი, მმართველი).

საწარმოს დირექტორს დანიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ზემდგომი ორგანო.

90. დირექტორი წარმართავს საწარმოს მთელ მუშაობას და მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მისი მდგომარეობისა და საქმიანობისათვის.

საწარმოს დირექტორი უმინდობილობოდ მოქმედებს საწარმოს სახელით. გამოდის მის წარმომადგენლად ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, კანონის შესაბამისად განაგებს საწარმოს ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის გადანდობის უფლებით), გახსნის ბანკებში საწარმოს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში დირექტორი გამოსცემს საწარმოსადმი ბრძანებებს; შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღებს და დაითხოვს მუშაკებს, გამოიყენებს წახალისების ზომებს და სასჯელს დაადებს საწარმოს მუშაკებს.

მუშაკთა დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით წარმოებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

91. საწარმოს დირექტორის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორის წარდგენით ზემდგომი ორგანო, მათ ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი სამუშაო უბნისათვის.

საწარმოს დირექტორის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ საწარმოს სახელით, გამოდიან საწარმოს წარმომადგენლებად სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლიათ შეასრულონ სამეურნეო ოპერაციები და დადონ ხელშეკრულებანი უმინდობილობოდ, აგრეთვე აძლიონ მინდობილობანი საწარმოს მუშაკებს.

92. საწარმოს დირექტორის მოადგილეებისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების კომპეტენციას აწესებს საწარმოს დირექტორი, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

93. საამქროები, განყოფილებები, სამსახურები, უბნები, წარმოებანი მეურნეობანი, ფერმები და საწარმოს სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფები მოქმედებენ იმ დებულებების შესაბამისად, რომლებსაც საწარმოს დირექტორი ამტკიცებს.

94. ოსტატი (უფროსი ოსტატი, უბნის უფროსი, ბრიგადირი, ფერმის გამგე, სამუშაოთა მწარმოებელი, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი) არის წარმოებისა და შრომის სრულუფლებიანი ხელმძღვანელი და უშუალო ორგანიზატორი, მას ეკისრება პასუხისმგებლობა თავის უბანზე წარმოების გეგმის შესრულებისა და პროდუქციის ხარისხისათვის. სამუშაო ადგილებზე ყოველგვარ მითითებას იძლევა ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატი უშუალოდ ემორჩილება საამქროს ან საწარმოს სხვა შესაბამისი ქვეგანაყოფის უფროსს.

ოსტატის დანიშვნა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა და სამუშაოდან განთავისუფლება ხდება საწარმოს დირექტორის ბრძანებით.

95. საწარმოს ადმინისტრაცია დირექტორის სახით დებს კოლექტიურ ხელშეკრულებას პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან, როგორც საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენელთან, და უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებას.

96. საწარმოს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად:

აწესებს შრომის შინაგან განაწესს ტიპობრივი წესების შესაბამისად.

ამტკიცებს საწარმოს ფონდის და მუშა-მოსამსახურეთა წახალისების სხვა ფონდების სახსრების გამოყენების ხარჯთაღრიცხვას, დააჯილდოებს და ერთდროულ დახმარებას უწევს აღნიშნული ფონდებიდან.

ანაწილებს საცხოვრებელ ფართობს საწარმოს სახლებში, აგრეთვე საცხოვრებელ ფართობს, რომელიც გადაცემულია საწარმოს განკარგულებაში სხვა სახლებში.

97. საწარმოს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, აჯამებს შედეგებს და გამოავლენს შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, წყვეტს საკითხებს მოწინავე კოლექტივთა და მუშაკთა წახალისების შესახებ.

98. საწარმოს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის სხდომებზე აკეთებს მოხსენებებს გეგმების პროექტების შესახებ, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ, გეგმებისა და კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, შრომის ორგანიზაციისა და პირობების, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.

99. საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში მუშა-მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობისათვის, საწარმოებსა და დიდ საამქროებში, განყოფილებებში, ფერმებში მოქმედებენ საწარმოო თათბირები. ეს თათბირები მუშაობენ მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის იმ დებულების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ.

საწარმოს ადმინისტრაცია ყოველნაირად უწყობს ხელს საწარმოო თათბირების წარმატებით მუშაობას და უზრუნველყოფს მათ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

100. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლის მიზნით, საწარმოო მონაწილეობას მიიღებენს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადს ორგანიზაციებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის პერს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებასა და შესრულებაში. საწარმო საჭირო პირობებს უქმნის ამ პირველადს ორგანიზაციებს, აგრეთვე საზოგადოებრივ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ, ნორმატიულ ბიუროებს, ნოვატორთა საბჭოებს, სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიებს, ეკონომიური ანალიზის ბიუროებსა და ჯგუფებს წარმატებით საქმიანობისათვის, ამასთან უზრუნველყოფს მათ სადგომებით, მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინვენტარით, ტექნიკური და საცნობარო ლიტერატურით.

101. საწარმოს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად რეგულარულად იწვევს საწარმოოტექნიკურ და ეკონომიურ კონფერენციებს, წარმოების მოწინავეთა თათბირებს, რომლებზედაც განიხილავენ საწარმოს ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიური განვითარების საკითხებს, შეიმუშავებენ ღონისძიებებს საწარმოს და მისი ცალკეული საამქროების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

102. საწარმოს მუშაკთა კრებები ადმინისტრაციის მოხსენებათა მიხედვით განიხილავენ საწარმოო გეგმების პროექტებს, გეგმების შესრულების შედეგებს, კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტებს და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, საწარმოო საკითხებს, მუშაკთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების და საწარმოს ფონდის (ფართო მოხმარების ფონდის) გამოყენების საკითხებს საწარმოს ადმინისტრაცია კრებას მოახსენებს წინათ შემდგარი კრებების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებებზე.

103. საწარმოებში იქმნება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები; საწარმოს ადმინისტრაცია მოვალეა აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება თავიანთ მუშაობაში, განიხილოს მათი წინადადებანი და მიიღოს საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

104. საწარმოს საქმიანობას აწარმოებენ ზემდგომი ორგანო და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები. საწარმოს საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ატარებს ზემდგომი ორგანო დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით კომპლექსურად, წელიწადში ერთხელ.

VI. საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

105. საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია წარმოებს იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი საწარმო.

106. საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში თვითეული მათგანის მთელი ქონებრივი უფლება-მოვალეობანი გადადის გაერთიანების შედეგად წარმოშობილ საწარმოზე.

როდესაც ერთი საწარმო მეორეს შეუერთდება, ამ უკანასკნელზე გადადის შეერთებული საწარმოს მთელი ქონებრივი უფლება-მოვალეობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

107. საწარმოს გაყოფის შემთხვევაში ამ გამოყოფის შედეგად წარმოქმნილ ახალ საწარმოებზე გადადის რეორგანიზებული საწარმოს ქონებრივ უფლებამოვალეობათა შესაბამისი ნაწილები გამოყოფის აქტით.

როდესაც საწარმოდან გამოიყოფა ერთი ან რამდენიმე ახალი საწარმო, თვითეულ მათგანზე გადადის რეორგანიზებული საწარმოს ქონებრივ უფლებამოვალეობათა შესაბამისი ნაწილები გაყოფის აქტით.

108. საწარმოს ლიკვიდაციას განახორციელებს ან სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც ზემდგომი ორგანო ნიშნავს, ან ამ ორგანოს დავალებით — სალიკვიდაციო საწარმოს დირექტორი.

109. საწარმოს ლიკვიდაციის წესსა და ვადას ადგენს ზემდგომი ორგანო, იმავე ორგანომ, სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად, უნდა გადაწყვიტოს საკითხი დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების წესის შესახებ.

სალიკვიდაციო საწარმოსადმი კრედიტორების მიერ თავიანთი პრეტენზიების განცხადების ვადას აწესებს ის ორგანო, რომლის გადაწყვეტილებით ხდება ლიკვიდაცია, მაგრამ ეს ვადა არ შეიძლება იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

110. სალიკვიდაციო კომისია ან სათანადო შემთხვევებში სალიკვიდაციო საწარმოს დირექტორი მოათავსებს პრესის ოფიციალურ საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ ორგანოში — საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით — განცხადებას საწარმოს ლიკვიდაციისა და კრედიტორების მიერ პრეტენზიების შემოტანის ვადის შესახებ. მიუხედავად ამისა, სალიკვიდაციო კომისია ან სალიკვიდაციო საწარმოს დირექტორი მოვალენი არიან მათ განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით გამოავლინონ საწარმოს კრედიტორების ყოველგვარი პრეტენზიები და აცნობონ მათ მისი ლიკვიდაციის შესახებ.

სალიკვიდაციო საწარმოსადმი პრეტენზიები დაკმაყოფილდება მისი ქონებიდან, რომელზედაც კანონით შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

კრედიტორების მიერ თავიანთი პრეტენზიების განცხადებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ გამოვლინებული და განცხადებული პრეტენზიები დაკმაყოფილდება აღნიშნული ქონების ნაშთიდან, რომელიც შეიქმნება გამოვლინებული პრეტენზიების, აგრეთვე დაწესებულ ვადაში განცხადებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

პრეტენზიები, რომლებიც არ ყოფილა გამოვლინებული და განცხადებული ლიკვიდაციის ვადის განმავლობაში, აგრეთვე ის პრეტენზიები, რომლებიც არ არის დაკმაყოფილებული ლიკვიდირებული საწარმოს ქონების სიმცირის გამო, გაბათილებულად ითვლება. ასევე გაბათილებულად ითვლება, მთლიანად ან შესაბამის ნაწილში, პრეტენზიები, რომლებიც არ მიიღო სალიკვიდაციო კომისიამ (ლიკვიდირებული საწარმოს დირექტორმა), თუ კრედიტორები პრეტენზიების სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობის შესახებ ცნობების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში არ წარადგენენ სარჩელს პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე.

111. დროებლივი გადასახდელების გაცემა, რაც ლიკვიდირებულმა საწარმომ უნდა გადაიხადოს დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის შემთხვევების გამო, უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოქალაქეთა პრეტენზიები და სარჩელები ჯანმრთელობის დაზიანებასთან ან სიკვდილის შემთხვევებთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე მოქალაქეთა სხვა პრეტენზიები და სარჩელები, რომლებიც არ ყოფილა წარდგენილი საპატიო მიზეზის გამო საწარმოს ლიკვიდაციის დამთავრებამდე, შეიძლება შემდეგ წარედგინოს საერთო წესით, ლიკვიდირებული საწარმოს ზემდგომ ორგანოს. ამ ორგანოს შეუძლია მის მიერ ცნობილი ან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნის დაკმაყოფილება დააკისროს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოს, რომელმაც ლიკვიდირებული საწარმოს ქონება მიიღო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 1965 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-66 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108, ქაღალდი 14000, ნაბეჭდი თაბახი 4,75, სააღრიცხვო თაბახი 5.0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2000 შეკვეთა 226

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა